№ 2 96
ოთხშაბათი,
13 აპრილი

ცნობის ფურცელი

№ 2796
ოთხშაბათი
13 აპრილი
ბიბლიოთეკა
გამოწერის ფასი: წელიწადში—6 მ. ... დამატებით—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში [illegible] № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, წინადღის 11—1 საათამდე.—დაუბეჭდავს წვრილ წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 37.

ელენე ალექსანდრეს ასული, ალექსანდრე, ნესტორ, პლატონი, ოლღა, ივანე და გიორგი ცაგარლები, აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი ძვირფასის მეუღლისა, დანარჩენნი მამის დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის

მელიტონ თომას ძის ფომინ-ცაგარლისას,

სთხოვენ მობრძანდნენ ცხედრის გამოსვენებაზე ოთხშაბათს, 13 აპრილს, დილის 10 საათზე, განსვენებულის სადგომიდან კრილოვის ქუჩა, სახლი სუმბათაშვილისა. წირვა და პანაშვიდი გარდახდილ იქნება ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, ხოლო დაკრძალვა კუკიის მართმადიდებელთა სასაფლაოზე. პანაშვიდი დანიშნულია დღეს საღამოს 6½ საათზე. (2—171—1)

თავ. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე დადიანი, კნ. ეკატერინე გრიგოლის ასული მიქელაძისა, კნ. ალექსანდრა მიხეილის ასული ჩხეიძისა და თავ. ბონდო მიხეილის ძე მიქელაძე უსაზღვრო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი—საყვარელ მეუღლისა, მეორე—ქალიშვილისა და მესამენი—დის

კნ. ნინო მიხეილის ასულის დადიანისას.

ცხედრის დაკრძალვა მოხდება ს. ცხემში, 14 პრილს, დილის 10 საათ.

ღრმა მწუხარებასა შინა მყოფნი თინათინ და ბეჟან ნახუცრიშვილები, მარიამ ბეჟანის ასული მამალაძისა და სარდიონ მამალაძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ქ. გორში, 15 აპრილს, დღითი პარასკევს გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ქ. იურიევში უდროვოთ გარდაცვალებულის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტში ახლად კურს დამთავრებულის პირველთა დაუვიწყარი შვილის, მეორესი ძვირფასი ძმის და მესამესი საყვარელი ცოლის ძმის

გრიგოლ (იგივე ნიკოლოზ) ბეჟანის ძის ნახუცრიშვილის

სულის მოსახსენებლად

ექიმის მიხეილ გრიგოლის ძის ძმელაძის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, ხუთშაბათს, 14 აპრილს, იმის სულის მოსახსენებლად ქ. ქუთაისში საფიჩხიის ეკლესიაში გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის, ცოლი შვილები და დედა.

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

აცხადებს, რომ 20 აპრილს, დღის 12 საათზე, მოხდება **საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც გაიცემა იჯარით თხრილის გაყვანა და წყლის მილების ჩაწყობა (დიამ. 16 დ.) რვა ვერსტის მანძილზე ქალაქის წყლის მილის სამანქანო შენობიდან ავჭალაში ქალაქის რეზერვუარებამდე რკინის გზის სადგურთან ნაძალადევში.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლია გაიცნოს პირობები ქალაქის გამგეობის წყლის მილის განყოფილებაში, სამუშაო საათების დროს, დილის 9-დან ნაშუადღევის 3 საათამდე. (2—6.—2)

გამოვიდა და იყიდება ახალი წიგნი
ბრძოლა არსებობისთვის
დრამატიული პოემა 4 მოქ. და 7 სურათად და სხვა პოემები და ლექსები
დ. გაბრუაშვილისა
გამოცემა „გუთნისა“, ფასი 60 კაპ.
ვინც ნაღდზე იყიდის 20 ცალს, მანეთზე 40 კაპ. დაეთმობა. მსურველთ მიმართონ „ქ. შ. წ. კ. ს.“ და იოსებ იმედაშვილის წიგნის მაღაზიებს. (6—165—5)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
გ. ი. ჭიჭინაძე. კბილის 8—9 საათ.
ნ. გ. მაღლაშვილი. შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.
ა. ი. ბალდარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
ნ. ი. ჟულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.
ი. დ. [illegible].—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
დ. მ. მანსვეტოვი. შინაგ. და ბავშვ. 12—1.
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, და ნერვებისა 12—1 ს.
ექ. ქალი ე. კ. იოსელიანი.—ქალისა და სა[illegible], სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ა. ნ. ღიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.
ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.
საღამოს:
ს. ი. [illegible]ძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.
ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ავადმყოფისათვის აქვს თავი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ერთის 2-დან სამ მანეთამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის პოლიციის მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
ტელეფონი № 274.

ბავშვების ექიმი
ა. ი. ბალდარჯიშვილი
კიევის უნივერსიტეტის ბავშვთა სნეულებათა კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს მხოლოდ 15 წ. ასაკამდე ყოველ დღე 11—12 წ.
მიხეილის პრ. № 115. ნემეცების ეკლესიის გვერდით ტელეფ. 729. (30—91—29)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
[illegible]: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდი- (№ 21) ქუთაისში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 11.

კბილის ექიმი
ე. ი. ბალდარჯიშვილი
იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით (80—278—14)

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მაღალაშვილი
მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.
ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში კომერციული ბანკის სახლი. (60—408—53)

ექიმი
ა. ნ. ღიასამიძე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი ფოსტის პირდაპირ № 18. (60—28—56)

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი
შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 545 ტელეფონი № 825. (90—296—22).

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

11 აპრილი

ტოკიო, 11 აპრილი. (რეიტერი). მიკადო ცოტათი ავად გახდა და ვერ გაისეირნა ჰამის პარკისკენ, როგორც ამას ყოველ წლივ შვრებოდა ხოლმე ალუბლის დღესასწაულის გამო.

საიგონი, 11 აპრილი. კამრანიდან მოსული „ჰავას“-ის კორესპონდენტი იუწყება, ყურეში, ტრანსპორტებიანა სულ რუსის 52 გემია. ესკადრა 9 აპრილს, შუადღეზე, ჩრდილოეთით გაემართა. პორტთან დადიან მხოლოდ კრეისერი „სვეტლანა“, მცურავი გოსპიტალი „ორიოლი“, გერმანიის 4 ტრანსპორტი, დანიის შვიდი და რუსების 4. 9 აპრილსავე წავიდა გერმანიის კრეისერი „დეკარტი“. იქ დარჩენილი გემებს თვალ-ყურს ადევნებს რუსის კონტრ-ნაღმოსანი. მებადურმა სთქვა, ნხანტანგთან 20 სამხედრო გემი დავინახეო. სხვა მებადურნი კი ირწმუნებიან, 9 აპრილს საღამოს, ზარბაზნის სროლა გვესმოდა კამრანთანაო. შესაძლებელია, როჟესტვენსკიმ გამოსაცდელი სროლა გამართა.

ლიბავა, 11 აპრილი. ღამით, ალბათ გაუფრთხილებლობის გამო, სანაპირო ქუჩაზე ცეცხლი წაეკიდა შვრიის ბეღელს. ზარალი 1,500,000 მანეთამდეა. როგორც ბეღელი, ისე ხორბალი დაზღვეულია.

ტაბოლსკი, 11 აპრილი. საბჭო ბეჭდავს 20 ეგზემპლიარს 18 თებერვლის უკაზსა და რესკრიპტსა სენატისადმი და აგრეთვე 3 აპრილის რესკრიპტს ციმბირში ერობის შემოღების შესახებ. დაბეჭდილი ეგზემპლიარები სახლის პატრონთ უნდა დაურიგოს.

ჩიტა, 11 აპრილი. 21 აპრილს ჩიტაში გაიმართება ზაბაიკალის ოლქის ბურიატების პირველი სიეზდი იმათ საჭიროებებზე მოსალაპარაკებლად.

როვნო. (სამარის გუბერნია). ნოქრებისა და [illegible] შეთანხმებით დაადგინეს, საქმის დღეს ვაჭრობა დილის 7 საათიდან საღამოს 7-მდე იყოს. კვირა უქმეებზე კი ვაჭრობა აღიკვეთა.

კრემენჩუგი. სამეურნეო საზოგადოებას სხდომა ჰქონდა მოსალოდნელ აგრარულ არეულობათა შესახებ.

ბათუმი, 11 აპრილი. მოვიდა სახალხო მატარებელი. გუშინ, დღისით, მიხეილის ქუჩაზე მოჰკლეს სამი აფხაზი, მათ რიცხვში სოფლის თანამდებობის პირი. გუშინ დაიჭირეს შეიარაღებული მძარცველი მაშინ, როცა უკანასკნელი დანაშაულის ჩადენას აპირებდა.

პეტერბურგი. ბეჭდვითი საქმის შესახებ მუშაობა ივნისის შუამდე გასტანს და განახლდება შემოდგომაზე, რათა განიხილონ რუსისა და უცხოეთის ბეჭდვითი სიტყვის საცენზურო წესების შემუშავებული პროექტი. შემდეგ პროექტი სახელმწიფო საბჭოს წარედგინება, ძნელად თუ 1906 წლის იანვრამდე.

კიშინევი, 11 აპრილი. რადგანაც ხმები დაჰქარეს, სააღდგომოთ არეულობა უნდა მოხდესო, ამიტომ ეპისკოპოსმა ვლადიმერმა გუშინ, ქალაქის საბჭოს დარბაზში, სიტყვა წარმოსთქვა 1500 დამსწრეთა წინაშე, რომელშიაც ითხოვა მცხოვრებლებთან მშვიდობიანად გაატარეთ პასექის დღესასწაულიო. დაესწრნენ ქალაქის თავი და გუბერნატორი.

პეტერბურგი. არ ჰფიქრობენ განაახლონ ის შეღავათი, რომლითაც პოლონეთის დამოუნებმა არ იღებდნენ ქვის ნახშირზე ბაჟს და რომელსაც ვადა 26 [illegible].

ბორდო, 11 აპრილი. მოვიდა რესპუბლიკის პრეზიდენტი ლუბე.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან.

11 აპრილი

პარიჟი. ხმებია, ტულონში ბრძანება მოვიდა გაიგზავნოს შორეულ აღმოსავლეთში სამხედრო გემები „ლებერი“ ან „დესე“ და მზად იყოლიონ კრეისერები „კასარდი“ და „ალჟირი“.

მოსკოვი, 11 აპრილი. ერობის რწმუნებული დიაბოროვი დეპეშით იუწყება შორეულ აღმოსავლეთიდან, ერობის ორი სანიტარული რაზმი სამხრეთისაკენ გაემართა. ნიკოლსკ-უსურიისკიდან მოსულმა ექიმ ზალგამ სთქვა, სამხედრო გოსპიტლები ყოველ მხრივ ცუდათაა გამართული და იძულებული არიან უსაჭიროეს წამლებისთვის და იარაღისთვის საქალაქო სასანიტარო ორგანიზაციებს მიმართონ. წითელ ჯვრის გოსპიტლები კი ჩინებულად არიან დაყენებულიო. დღეს ომის ასპარეზიდან მოვიდა კორპუსის უფროსი მილოვი, რომელიც ავადმყოფობის გამო დაბრუნებულა. მოსკოვში მოწყალების ორ დისა და ქირურგის თანხმობით მოიყვანეს დაჭრილი პოდპოლკოვნიკი გურკო.

ამოი, 11 აპრილი. ინგლისის გემი „რუბინ“-ი იუწყება, 9 აპრილს, ღამით, ბლონკოს კონცხთან, გონკონგის აღმოსავლეთით, 60 მილის მანძილზე 3 ნაღმოსანი შეხვდა, რომელთაც პროჟექტორები მომანათესო. ჰფიქრობენ, ესენი იაპონელთ ნაღმოსნები იქნებოდნენო.

ტოკიო, 11 აპრილი. გაზ. „კოკუმინ“-ის აზრით, კამრანის საკითხის მშვიდობიანად გადაწყვეტას ინგლისს უნდა უმადლოდნენ. გაზეთი ამბობს, ეს შემთხვევა ახლად ამტკიცებს ინგლის-იაპონიის კავშირის სინამდვილეს და იმედს აცხადებს, რომ კავშირი განახლდება, რომელსაც საყოველთაო მშვიდობიანობის ინტერესები ექნებაო.

ლონდონი. იორკშაიერის, დერბიშაიერის, ლინკოლშაიერისა და ნოტინგშაიერის პროვინციებში მიწის ძვრა იყო. მაგრამ სერიოზული ზარალი არ მოუტანია.

სოფია. ზაგორიჩანში ბერძნებისაგან ჩადენილ ჟლეტა-წვეტის საქმის დაწვრილებით გამოკვლევა უფრო აღელვებს ხალხსა და პრესას. სოფიასა და მთავარ ქალაქებში ურილობები გაიმართა ბერძნების მოქმედების წინააღმდეგ გაკიცხვის გამოსაცხადებლად. შემუშავებულ რეზოლიუციებში პროტესტს აცხადებენ პორტას წინააღმდეგ, რომელიც მფარველობას უწევს ბერძნებს. იწვევენ ბულგარეთს, გააძლიეროს მან თვისი ენერგია. ამას გარდა რეზოლიუციები მიმართულია იმ სახელმწიფოების წინაშე, რომელთაც ხელი მოაწერეს ბერლინის ტრაქტატს და სთხოვენ, ბოლო მოუღეთ მაკედონიის ანარქიასო. უნივერსიტეტის საბჭომ მიმართა სტუდენტებს თხოვნით, დაუბრუნდით მუშაობასაო. დამნაშავენი სასტიკად დაისჯებიანო.

იურიევი (ლიფლიანდიის). უნივერსიტეტში მარტო იურიდიულ ფაკულტეტზე იქნება სახელმწიფო გამოცდები. გამოცდას 26 აპრილს დაიწყებენ. ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთი თხოვნაა მიღებული, საბეითლო ინსტიტუტში 20 კაცი იჭერს გასათავებელ გამოცდებს, რომლებიც ერთის თვის შემდეგ დასრულდებიან.

მინსკი. მცხოვრებლებს ძლიერ აშინებს ხმები ებრაელებისა და ინტელიგენციის მომავალ აწიოკების შესახებ. გუშინ ორ რეალისტს დაეცნენ, ერთი დასჭრეს; ამან შიშის ზარი დასცა ყველას.

მინსკი, 11 აპრილი. რადგანაც საბჭოში მცხოვრებლებმა და ხმოსნებმა განცხადება შეიტანეს პირადობისა და ქონებრივ უშიშროების შესახებ, ამიტომ საბჭომ დაადგინა, დაარსოს საქალაქო დარაჯები, ამოირჩია დეპუტაცია, რომელმაც უნდა სთხოვოს გუბერნატორს, მიიღოს სასტიკი ზომები მცხოვრებლების დასაცველად და გადასწყვიტა აღძრას შუამდგომლობა პოლიციის ქალაქისთვის გადაცემის შესახებ.

ბელგრადი, 11 აპრილი. გუშინ სერბიის 1815 წ., მილოშ ობრენოვიჩის მეთაურობით მომხდარ, აჯანყების წლის თავი იყო. მეფე პეტრემ გააუქმა ეს სახალხო დღესასწაული. მთელი პრესა აღტაცებით მიეგება განთავისუფლების დღეს, აუარებელი ხალხი დასეირნობდა სიმაგრეში, სადაც წინად დღესასწაულობდნენ ხოლმე ამ დღეს. ბელგრადის მთელ გარნიზონს იარაღი ასხმული ჰქონდა, რადგანაც არეულობას ელოდნენ.

მოსკოვი. წითელ-ჯვრის შემოწირულება ძლიერ შემცირდა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუსისა და იაპონიის ფლოტის მოქმედება. 9 აპრილს ნაშუადღევს რუსის ესკადრა კამრანის ბუხტიდან გასულა. ბუხტაში სულ 52 გემი მდგარა. კამრანში კრეისერი „სვეტლანა“, საავადმყოფო გემი „ორიოლ“-ი და 15 სატრანსპორტო გემი დარჩენილა. ამ გემებს რუსის კონტრ-ნაღმიანი გემი ჰდარაჯობს. რუსის ესკადრა ჩრდილოეთისაკენ გამართულა და 10 აპრილს საფრანგეთის სამფლობელოდან 5 მილის მანძილზე უნახავთ.

ადმ. ტოგოს უმთავრესი ფლოტი 13 აპრილამდე კუნძულ ფორმოზას სამხრეთით შეიკრიბება. ადმ. კამიმურას ესკადრას ყოველ წამს მოელიან მანილაში (კუნძულ ლიუსონზეა, ამერიკას ეკუთვნის). ესკადრა, რასაკვირველია, მანილას პორტში არ შევა, მხოლოდ კუნძულ კორიჟიდორთან (მანილას ახლო) ადმ. დაშიბას სამი გემი მისულა. იაპონიის სამი ნაღმოსანი გემი ბლონკოსთან უნახავთ, ჰონკონგიდან 60 მილზე, აღმოსავლეთით. ეტყობა, იაპონელები ყველგან ჰდარაჯობენ რუსის ესკადრას.

იქნება მოწინავე რაზმებს შეტაკებაც მოუვიდათ. 9 აპრილს საღამოთი ძლიერი ზარბაზნის სროლა გაუგონიათ საიგონს ახლო. ჰფიქრობენ, რუსის გემებს ორჯელ შეტაკება მოუვიდათ იაპონიის მზვერავ გემებთანაო. იმავ საღამოს კამრანის ბუხტასთანაც გაუგონიათ ზარბაზნის სროლა, იქნება ადმ. როჟესტვენსკი ისროდა საცდელადაო.

„ეკო დე პარი“-ს პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: ნამდვილად გავიგე, რომ როჟესტვენსკის საქმეში საზღვაო შტაბი სულ არ ერევა; რუსის ადმირალი სრულიად დამოუკიდებლად იქცევაო. („ნ. დ.“).

როგორ მოიქცევა იაპონიის ფლოტი. „დეილი მეილ“-ი სწერს: ყველაზე წინ რუსის გემებს კონტრ-ადმ. დევას სუმბუქი, სწრაფალ-მავალი კრეისერები „ჩიტოზე“, „კასაგი“ და სხვანი შეხვდებიან, ადმ. დევას ადმ. კამიმურას ჯავშნიანი კრეისერები მოეხმარებიან და უმთავრესად რუსის მენახშირე და სატრანსპორტო გემებსა და უჯავშნო კრეისერებს დაეცემიან, დიდ ბრძოლას-კი მოერიდებიან. დიდი ბრძოლა, ალბად, ყვითელ ზღვაში მოხდება; იქ რუსის ფლოტს იაპონიის მთელი ფლოტი დაეცემა. („რ.“).

სამხედრო-საზღვაო საქმის ცნობილ მცოდნეს, ინგლისელ ლეიტენანტ ბელერსს უთქვამს „დეილი ნიუს“-ის თანამშრომლისათვის: იაპონელები ეცდებიან, რაც-კი შეიძლება, მარჯვე ადგილსა და წამს დაეცნენ რუსის ესკადრას. იაპონიის მზვერავი კრეისერები, რასაკვირველია, ბეჯითად ადევნებენ თვალ-ყურს რუსის ფლოტს და უმავთულო ტელეგრაფით ყველაფერს ატყობინებენ ადმ. ტოგოს. ადმ. ტოგო ჯერ დაიცდის და როცა რუსის ესკადრა კიდევ დიდ მანძილს გაივლის და ქვანახშირს დახარჯავს, მაშინ დაეცემა; თუ იაპონიის ახლო ბრძოლა არ მოხდა, მაშინ ადმ. ტოგომ, შეიძლება, ვლადივოსტოკისაკენ გაუშვას რუსის ესკადრა და ისეთ ადგილას დაეცეს, რომ რუსის გემები აირ-დაირივნენ და ვლადივოსტოკს ახლო ჩაწყობილ თავაინთ საკუთარ ნაღმებს დაეჯახნენო. („ს. ო.“).

ამერიკელ ადმირალ გრევენს უთქვამს ერთის კორესპონდენტისათვის: დარწმუნებული ვარ, რომ ადმ. ტოგო არ აჩქარდება, ფრთხილად მოიქცევა და ეცდება, თავისი ფლოტი უვნებლად გადაარჩინოს. ჩემის აზრით, ადმ. ტოგო წინ გაუშვებს რუსის ესკადრას და თითონ უკანიდან მოექცევა; მაშინ ადმ. როჟესტვენსკი შეიძლება ორ ცეცხლს შუა ჩავარდეს და იაპონელები იმის ესკადრას აუცილებლად გაანადგურებენო. („ნ. დ.“).

ამერიკელ ადმირალის აზრი მომავალ საზღვაო ბრძოლაზე. ამერიკელ ადმირალ დევისის აზრით, რუსის ფლოტი ძლიერია იაპონიის ფლოტზე და ამიტომ ძნელი გამოსაცნობია, ვინ გაიმარჯვებს მომავალ საზღვაო ბრძოლაშიო. დევისს უთქვამს „ევნინგ სენ“-ის თანამშრომლისათვის: არამგონია, ადმ. ტოგომ რუსის ესკადრა ვლადივოსტოკში გაუშვას ჩემის აზრით, ბრძოლა ფორმოზასა და კიუსიუს (კუნძულია იაპონიის სამხრეთით) შუა უნდა მოხდეს. ადმ. როჟესტვენსკი ვლადივოსტოკისაკენ წავა; გზაში არა ერთხელ მოუხდება იაპონელებთან ბრძოლა. ადმ. ნებოგატოვის ესკადრაც ნუ დავივიწყებათ. ამ ესკადრაზე ბევრსა სწერენ, მაგრამ სულ უსაფუძვლოდ. ჩემის აზრით, ეს ესკადრა მეტად მრისხანე მტერია იაპონელებისათვის. რუსეთის ფლოტი ძლიერია იაპონიის ფლოტზე, ამიტომ ადმ. როჟესტვენსკი თითონ პირველი უნდა დაეცეს იაპონიის ფლოტს. სანამ ზღვაზე ბრძოლა არ მოხდება, ვერ გეტყვით, რომელი უფრო მცოდნე და მოხერხებული ადმირალია—ტოგო, თუ როჟესტვენსკი. ადმ. ტოგო მეტად მარჯვედ იბრძოდა მთელს წარსულ წელიწადს; როჟესტვენსკიმ ჯერ-ჯერობით ორგანიზატორისა და მეთაურის უნარი გამოიჩინა. ვიმეორებ, ბრძოლამდე, ძნელი გამოსაცნობია, ვინა სჯობია. ადმ. ტოგომ დიდება და სახელი რუსის ფლოტის დამარცხებით შეიძინა, ვნახოთ ეხლა როგორ წავა საქმე. უნდა მოგახსენოთ კი, რომ იაპონელი ადმირალი მეტად გულ-დინჯი, ფრთხილი და გულადი კაცია, რუსის ადმირალებს კი, თითო-ოროლას გარდა, სწორედ ეს თვისება აკლიათო. („რ.“).

მეორე ცნობილ ამერიკელ ადმირალს დიუისსაც უთქვამს, ადმ. როჟესტვენსკის მეტი ჯავშნიანი გემი ჰყავს, ვიდრე ადმ. ტოგოს და ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ექნება ბრძოლის დროსაო.

იაპონიის ახალი კრეისერი და წყალ-ქვეშ მავალი ნავები. „ეკო დე შინ“-ი იუწყება: იაპონიის ფლოტს 1 ახალი მებრძოლი გემი—პირველ რანგის ჯავშნიანი კრეისერი მოემატა. კურეს ვერფში მარტის დამდეგს პირველ რანგის ჯავშნიან კრეისერის აშენება დაასრულეს. ახალ კრეისერს 6,800 ტონა წყალ-წყვა აქვს, საათში 24 მილს გადის და 10 დიდი ზარბაზანი აქვსო.

იაპონია ჯავშნიან გემების, კრეისერებისა და კანონირ გემების გარდა, წყალ-ქვეშ მავალ ნავებსაც აშენებს. ნავების ნიმუში ამერიკაში იყიდეს, მაგრამ იაპონელებმა შესამჩნევად გააუმჯობესეს ნავების კონსტრუქცია; ახალი ნავი წყალ ზემოდ 14 მილს გაივლის საათში და წყალ-ქვეშ 12 მილს. („რ.“).

რუსეთის მეოთხე ესკადრა. „ეკო დე პარი“ იუწყება: რუსეთის მეოთხე ესკადრა ვიცე-ადმირალ ვირენის უფროსობით სუეცის არხზე ივლისსა ან აგვისტოში გაივლისო. მეოთხე ესკადრაში ჩაირიცხნენ ჯავშნიანი გემები „სლავა“, „იმპერატორ ალექსანდრე II“, „პამიატ აზოვა“ და „იმპერატორ პაველ I“. („ნ. დ.“).

რატომ ადმ. ნებოგატოვის ესკადრას არ მოუცადა ადმ. როჟესტვენსკიმ. დღემდე ვერ გაუგიათ, რატომ ადმ. როჟესტვენსკიმ არ მოუცადა კონტრ-ადმირალ ნებოგატოვის ესკადრას და უიმისოდ რად წავიდა შორეულ აღმოსავლეთს. „მატენ“-ის კორესპონდენტს შეუტყვია რუსეთის საზღვაო სამინისტროში, რომ ადმ. როჟესტვენსკიმ

შემდეგის მიზეზით არ მოუცადა ადმ. ნებოგატოვის ესკადრასაო. მადაგასკართან დიდ-ხან დგომამ და ცდამ ტროპიკულ მწვავე მზის ქვეშ რუსის მეზღვაურები დაღალა, ნერვები აუშალა და საშინლად აალელვა; ოფიცრები და მატროსები ერთხმად თხოულობდნენ, ეხლავე საბრძოლველად წაგვიყვანეთ, მზადა ვართ დავიხოცნეთ, მეტი მოცდა და ლოდინი-კი აღარ შეგვიძლიანო. („ო. ნ.“).

საარჩევნო უფლება

როგორი უნდა იყოს საარჩევნო უფლება, ის უფლება, რომლის შემწეობითაც ხალხი იღებს მონაწილეობას პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში? ჩვენმა ხალხმა გადაჭრით და ნათლად მოითხოვა, რომ საარჩევნო უფლება უნდა იყოს საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და დაფარული. და შეუძლებელია, სხვა გვარი საარჩევნო უფლება მოეთხოვა ხალხს, როდესაც მთელი მისი დღევანდელი ცხოვრება არის მისწრაფება დემოკრატიულ, ხალხურ წარმომადგენლობისაკენ.

ხალხს უნდა თავისი არჩეული მოსამართლე, თავისი არჩეული მოხელე, თავისი არჩეული კანონმდებელი, უმაღლესი მთავრობა, და როგორ შეიძლება იყოს ხალხის არჩეული ან ერთი, ან მეორე, თუ ამრჩევი არ იქნება მთელი ხალხი, თუ არჩევანი არ იქნა საყოველთაო? განა შეიძლება დავაწესოთ რაიმე ნიშნები, რომ აქედან იწყება ხალხი და ამას იქით კი არ არსებობს ხალხიო? განა შეიძლება ხალხის დაყოფა, დანაწილება? განა ხალხია მარტო შეძლებული, ფულიანები და განათლებულები, ხალხს შეადგენენ მარტო მამაკაცები? ქონება არავითარს უპირატესობას არ აძლევს ადამიანს, მისი პოლიტიკური შეგნება არასოდეს არ არის უფრო განვითარებული, ვიდრე—ღარიბისა და, პირიქით, ღარიბი უფრო დაინტერესებულია რეფორმებსა და საზოგადოებრივ წინმსვლელობაში და მეტს მონაწილეობასაც იღებს. შეუძლებელია ხალხის უფლების შეზღუდვა იმიტომ, რომ იგი გაუნათლებელია. ამერიკაში მონობის მოსპობის წინააღმდეგნი ამბობდენ: „ჯერ უნდა გავანათლოთ მონები და მერე გავანთავისუფლოთო; დღევანდელი მონები ვერ ისარგებლებენ თავისუფლებითაო“. მაგრამ განთავისუფლდნენ მონები და მშვენივრად ისარგებლეს როგორც მოქალაქობრივი, ისე პოლიტიკურ თავისუფლებით. თვითონ საარჩევნო უფლებაა ხალხის აღმზრდელი და სადაც კი ხალხმა მოიპოვა პოლიტიკური თავისუფლება, ყველგან უბრალო ხალხი ბურჟუასა და არისტოკრატზე ნაკლებად არა სარგებლობს თავის უფლებით. სრულიად უსაფუძვლო და უადგილოა დედაკაცის საარჩევნო უფლების შეზღუდვაც. ქალები კაცობრიობის მთელს ნახევარს ნაწილს შეადგენენ და ვერავითარის საბუთით ვერ დავამტკიცებთ, თუ რატომ უნდა იყოს ამდენი ადამიანი მოკლებული პოლიტიკურ თავისუფლებას, რატომ არ უნდა შეეძლოს დაიცვას თავისი ინტერესი და მიიღოს მონაწილეობა საზოგადო საქმეებში? ამ უფლების წართმევა ქალის ადამიანობის უარყოფა იქნებოდა.

საარჩევნო უფლება როგორც საკანონმდებლო, ისე სხვა ყოველივე დაწესებულების წევრთა ასარჩევად უნდა იყოს საყოველთაო, ე. ი. ყოველს ქალსა და კაცს, ვისაც 21 წელიწადი შესრულებია, უნდა შეეძლოს მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში. მაგრამ არა კმარა, რომ საარჩევნო უფლება საყოველთაო იყოს. თუ გვინდა, რომ საარჩევნო უფლებას ნამდვილი დემოკრატიული ხასიათი ჰქონდეს, იგი აუცილებლივ უნდა იყოს თანასწორი ყველასათვის, პირდაპირი და დაფარული. თანასწორობა მოითხოვს, რომ ყოველს ამომრჩეველს ჰქონდეს იმგვარივე ხმა, როგორც სხვას, ყოველს ადამიანს უნდა ეკუთვნოდეს ერთი საარჩევნო ხმა. ასეთი თანასწორობა დარღვეულია, როდესაც რაიმე ცენზის დაწესებით—ფულისა თუ განათლების—ერთს ერთი ხმა აქვს, მეორეს კი—ორი და სამი. ამ შემთხვევაში არჩევნებს სრულიად ეკარგება ყოვლადობის ხასიათი და იგი ხდება მდიდრების და განათლებულების მონოპოლიად. რა ძალა ექნება მდაბიო ხალხისთვის საარჩევნო უფლებას, თუ მის ერთს ხმას წინ დაუყენებენ ორსა და სამს ხმას.

გარდა ამისა ყოველი ამომრჩეველი თვითონ პირდაპირ უნდა ირჩევდეს პარლამენტის, თუ სხვა დაწესებულების წევრს და მოხელეს. მხოლოდ მაშინ ექნება პირდაპირი, ნამდვილი კავშირი და დამოკიდებულება ამომრჩეველს ამორჩეულ ადამიანთან. ხალხი ირჩევს ამა თუ იმ ადამიანს იმიტომ, რომ მის ინტერესებს იცავს, ასეთი და არა სხვა მიმართულების კაცია; ხალხს პირადად და პირდაპირ აქვს საქმე ამოსარჩევ კაცთან. სულ სხვაა, როდესაც ხალხი ირჩევს ამომრჩეველებს და ამომრჩეველები თავის მხრით ირჩევენ დეპუტატებს. ასეთი საარჩევნო სისტემა მოგონილია, რომ გავლენა იქონიონ ამომრჩეველებზე მოსყიდვით თუ სხვა საშუალებით და მოაწყონ არჩევნები ბიუროკრატიის და მთავრობის სასარგებლოდ. ასეთი საარჩევნო უფლება არასოდეს არ იქნება ხალხური და თავისუფალი. ასეთი არჩევნები არ იქნება ხალხის ნამდვილი სურვილის გამომხატველი. წარმოვიდგინოთ ასეთი მაგალითი: ასი ამომრჩეველი ირჩევს ერთს დეპუტატს და მათგან 55-მა მისცა თეთრი კენჭი და 45 შავი; ამავე დროს თითოეული ამომრჩეველის არჩევაში მონაწილეობას იღებდა ასი კაცი და არჩეული დეპუტატის მომხრე 55 ამომრჩეველთაგან თითომ მიიღო 60 თეთრი კენჭი, მოწინააღმდეგე 45 ამომრჩეველთაგან თითომ 90 თეთრი კენჭი, გამოდის, რომ დეპუტატის მომხრეებს ჰქონდათ 3300 ხმა და მოწინააღმდეგეებს კი 4050 ხმა, მაგრამ დეპუტატი მაინც იქნა არჩეული. მისი არჩევა შეუძლებელი იყოს, რომ საარჩევნო უფლება ყოფილიყო პირდაპირი, ე. ი. უფრო შეთანხმებული ხალხის სურვილთან.

არჩევნების თავისუფლება მოითხოვს აგრეთვე, რომ არჩევნები იყოს დაფარულად, კენჭის ყრა იყოს დახურული. ეს იმიტომ, რომ ყველას მოურიდებლად და უშიშრად შეეძლოს ამა თუ იმ ადამიანის არჩევა, რომ არავის შეეძლოს ძალა დაატანოს ამომრჩეველს.

ასეთი ნამდვილი დემოკრატიული საარჩევნო უფლება. ასეთს უფლებას თხოულობს დღეს ერთხმად ჩვენი ხალხი და სხვა არავითარ საარჩევნო სისტემას ჩვენში გასავალი არ ექნება. ამ დღეებში სომხის და ქართველ წარმომადგენლებს კრება ჰქონდათ საარჩევნო უფლებისა და ოლქის შესახებ. ერთმა ექიმმა განაცხადა: საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლება კარგი რამაა, როგორც საგიტაციო საშუალებაო და ნამდვილად კი არჩევნებისათვის უნდა დავაწესოთ განათლების და ქონების ცენზიო..

ასეთ სისულელეზე, რასაკვირველია, პასუხის გაცემა არაა საჭირო. მხოლოდ ერთხელ და სამუდამოდ უნდა იცოდეს ყველამ, რომ ყალბია და ამაოა ყოველივე ცდა მიმართული ხალხის საარჩევნო უფლების შეზღუდვისაკენ. ეს უფლება ერთნაირი უნდა იყოს ყოველი ერისათვის: ფიქრშიც ნურავინ გაიტარებს იმის აზრს, რომ რაიმე ცენზის შემოღებით კავკასიაში შევიწროვებული იქნეს რომელისამე ერის საარჩევნო უფლება, ერთს ერს მიეცეს უპირატესობა მეორის დასაჩაგრავად.

ქ.

სოფლად

სამხრეთ-ოსეთი. სამხრეთ-ოსეთის, ესე იგი კავკასიონის ქედ გადმოღმა მცხოვრებ ოსებმაც შეიმუშავეს თავიანთი მოთხოვნილებანი. აქვე მოგვყავს ყველა მუხლი ამ მოთხოვნილებებისა.

ჩვენ, სამხრეთ-ოსეთის მკვიდრთა წარმომადგენელნი, შევიკრიბენით ადგილობრივ და საზოგადო საჭიროებათა განსახილველად, გავითვალისწინეთ ხალხის მეტად გაჭირვებული მდგომარეობა, რუსეთის დღევანდელ სახელმწიფო წეს-წყობილებითა და სხვა ადგილობრივ და საზოგადო პირობებით გამოწვეული და საჭიროდ დავინახეთ: 1. შევუერთდეთ პროგრესიულ ელემენტების განმათავისუფლებელ მოძრაობას რუსეთისას, საზოგადოდ და კავკასიისას კერძოდ; 2. საჩქაროდ განხორციელებულ იქნას ის მოთხოვნილებანი, რომელიც გამოაცხადა მკვიდრთა ამ მოწინავე ნაწილმა; 3. აღინიშნოს აგრეთვე ადგილობრივი საჭიროებანი, რომელთა დაუკმაყოფილებლადაც შეუძლებელია სამხრეთ-ოსეთის მკვიდრთა დაწყნარება. კერძოდ სამხრეთ-ოსეთისთვის მოვითხოვთ:

1. უზრუნველ იქნას თავისუფლება და ხელ-შეუხებლობა სამხრეთ-ოსეთის მკვიდრთა წარმომადგენლებისა: 2. მიეცეთ საკუთრებად ჯავის, ურეჯვარის, ჯაბაგის, ქეშელთის, ზროგის, როკის და კოშკის ხეობებში მცხოვრებ ოსებს ის ადგილები, რომლებზედაც ისინი დღეს მოსახლეობენ. 1852 წლამდის ეს ადგილები ოსების სრულ საკუთრებად იყო ცნობილი და სენატის მიერ დამტკიცებული. 1852 წ. 17 მაისს გამოცემულ იქნა უმაღლესი ბძანება, რომლის ძალითაც ეს ადგილები მიაკუთვნეს თავ. მაჩაბლებს. ეს ბძანება გამოიწვია კავკასიის ყოფილ ნამესტნიკის თავად ვორონცოვის მოხსენებამ, რომელიც განზრახ სიმართლეს იყო მოკლებული; 3. ადგილ-მამულის ვიწროობის გამო ოსების საკუთრებად იქნას ცნობილი ამ ხეობებში მდებარე სახაზინო ადგილები; 4. გაუქმებულ იქნას ხიზანთა დებულება, რომელიც ოსებს შეეხება და ხაზინამ სესხი მისცეს, რათა მათთვის ხელსაყრელ პირობებით შეისყიდონ ადგილები; 5. ყველა ეს მიენიჭოს აგრეთვე იმ ოსებს, რომელნიც სცხოვრობენ სხვა მემამულეების ადგილებში სხვა-და-სხვანაირ პირობებით; 6. ადგილ-მამულით შევიწროებულ გადმოსახლებულ ოსებს მიეცეთ შეძლება დასახლდნენ მათ მიერ აღნიშნულ სახაზინო ადგილებში და მიეცეთ უფლება ხაზინის შემწეობით გამოისყიდონ ეს ადგილები; 7. მიეცეთ მკვიდრთ უფლება ძალ-დატანებით გამოისყიდონ მემამულეთა და სახაზინო ადგილები, სასამართლოსა და საშუამავლო კომისიების დაფასებით; 8 საშუამავლო კომისიებმა განაწესრიგონ ადგილების იჯარა; 9. ცნობილ იქნას მესაკუთრეთა უფლება დედამიწის გულის შესახებ; 10. მოისპოს არა პირდაპირი გადასახადი და დაწესდეს გადასახადი შემოსავალზე; 11, გაანთავისუფლონ მკვიდრნი საერობო დარაჯების შესანახ ხარჯისაგან, რადგან ეს დარაჯები სრულებით უსარგებლონი არიან ხალხისათვის; 12. რადგან მცხოვრებნი მეტად შევიწროებულნი არიან უგზოობის გამო, გაყვანილ იქნას ყველა ხეობაში გზა-ტკეცილები. კარგა ხანია, რაც ოსები საერობო გადასახადს იხდიან, მაგრამ სრულებით არაფერი არ გაკეთებულა იმათ ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად; 13. გაანთავისუფლონ მცხოვრებნი სასოფლო მოხელეების შესანახ ხარჯისაგან; 14. აპატიონ ყველას დარჩენილი გადასახადი, რომელიც უდანაშაულოდ დაეკისრა მცხოვრებს; 15. გავრცელდეს ოსებს შორის საგლეხო სააღგილ-მამულო ბანკის მოქმედება; 16. შემოღებულ იქნას საყოველთაო, სავალდებულო უფასო სწავლება; 17. მოემატოს პირველ-დაწყებით სკოლების რიცხვს. სამრევლო და სამინისტრო სკოლები შეიცვალოს დღევანდელ საჭიროების შესაფერად. სწავლება სამშობლო ენაზე უნდა სწარმოებდეს. რუსული ენის სწავლება სავალდებულო უნდა იყოს; 18. დაარსდეს სამხრეთ ოსეთში არა ნაკლებ ხუთ ოთხკლასიან სასწავლებლისა სამეურნეო განყოფილებებით; 19. დაარსდეს საკმაო რიცხვი ქალთა სასწავლებლისა საპროფესიონალო განყოფილებებით; 20. დაწესდეს კავშირი ამ სკოლებისა და არსებულ საშუალო სასწავლებელთა შორის; ქალებისა და ვაჟების საშუალო სასწავლებლებში უნდა დაარსდეს არა ნაკლებ 20 სახაზინო სტიპენდიისა სამხრეთ ოსეთის მკვიდრთათვის; 21. მიეცეს მცხოვრებთ უფლება მათთვის სასურველ ტიპის სასწავლებელნი დააარსონ და მხოლოდ დაარსების წინ აცნობონ მთავრობას; 22. ღვთის მსახურება სამშობლო ენაზე უნდა სწარმოებდეს; 23. მიეცეთ ნება ოსურ ენაზე გაზეთის გამოცემისა; 24. მომავალ საწარმომადგენლო დაწესებულებებში მონაწილეობა აკუთვნონ აგრეთვე ოსების წარმომადგენლებს; 25. აკუთვნონ მონაწილეობა კავკასიის საწარმომადგენლო დაწესებულებებში ოსების არჩეულ წარმომადგენლებს; 26. გამოჰყონ და ერთ ადმინისტრატიულ ფარგალში უნდა მოამწყვდიონ ჩრდილოეთის და სამხრეთის ოსები და შეძლება მისცენ ერთი საარჩევნო ოლქი შეადგინონ; 27. ადგილობრივ საჭიროებათა საზღვარში იურიდიულ და საადმინისტრაციო აქტები ოსურ ენაზე უნდა იწერებოდეს; 28. შემოღებულ იქნას საერობო დაწესებულებანი და ნაფიც მსაჯულთა სასამართლო; 29. მიეცეს გარეშე პირს უფლება პასუხის გებაში მისცეს დამნაშავე; 30. ყველა მოხელეს ოსები აირჩევენ იმ პირთაგან, რომელთაც საკმაოდ იციან ოსური ენა; 31 გაუქმებულ იქნას პასპორტები; 32 მიეცეს ხალხს უფლება თავისუფლად გამართოს კრებები თავის საჭიროებათა განსახილველად; 33. უზრუნველ ყოფილ იქნას ადამიანის პიროვნება და ბინის ხელშეუხებლობა; 34. სამხედრო ბეგრის ვადა ორ წლამდის შემცირდეს; ამ ბეგარას ოსები შეასრულებენ ოსების საცხენოსნო დივიზიონში; 35. გაუქმდეს სახელწოდება „გლეხი“, რადგან ოსების ცხოვრებაში ამ სიტყვას არავითარი ნიადაგი არა აქვს; 36. მიეცეთ მცხოვრებთ ყოველნაირ იარაღის ტარების ნება.

კახეთი. ყოველ დღე კახეთის სოფლებიდან ახალ-ახალი ამბები ისმის. თიანეთში იქამდე გამწვავებულა საქმე, რომ ჯარსა და ხალხს შორის შეტაკება მომხდარა. ამბობენ, ორი გლეხიკაცი მოუკლავთ და რვა დაუჭრიათ. ჯერ სწორე ცნობები არ მოსულა. შიგნით კახეთში ჯერ საამისო არაფერი მომხდარა, თუმცა აქაც შიგა და შიგ სოფლებში ჯარია ჩაყენებული და თან პოლიციის მოხელენი ახლავან.

კახეთის გლეხ-კაცობა ისეა სულითა და გულით მოწადინებული ახალ ცხოვრებას, ისე აღტაცებული გაიძახის „გაუმარჯოს ერთობასაო“, რომ თითქოს მტკიცედაა დარწმუნებული ვერავითარ ზომების მიღება ვერ შეაყენებს ჩემგან გაბედულად გადადგმულ ნაბიჯსაო. თითქმის არ დარჩენილა კახეთში ისეთი სოფელი, რომელსაც თავისი მოთხოვნილება არ შეემუშავებინოს, არ დაედგინოს და სისრულეში არ მოეყვანოს ზოგიერთი მუხლი მაინც. მას, ვინც არა სთანხმდება და ნებით ხელს არ აწერს, ბოიკოტს უცხადებენ. ჯერ-ჯერობით გლეხებმა 3—4 მემამულეს გამოუცხადეს ბოიკოტი. ყველა მოსამსახურეები ჩამოაცალეს და ცხოვრება გაუმწარეს; სხვა არა იყოს-რა პირუტყვთა მოვლა უჭირავთ საქმეს. ამით დარწმუნდნენ, რომ უგლეხ-კაცოდ ცხოვრება ასეთ პირთათვის ისევე შეუძლებელია, როგორც თევზისათვის უწყლოდ. თავად-აზნაურთა გარდა სოფლელნი იმ გლეხთაც აწერინებენ ხელს, ვისაც დიდი მამულები აქვს —ეხლა ერთობააო. ამას გარდა ქალაქში მცხოვრებ მოქალაქეთაც შეეხნენ. მათი ვენახებიდან მებაღეებ-მოჯამაგირეები დაითხოვეს. მებაღეებმა გამოუცხადეს ქალაქელ მემამულეებს, წამოდით თუ გინდათ მოხედეთ, ჩვენ ვეღარ გავაკეთებთო. ზოგ სოფელში ლაპარაკი ჰქონდათ გლეხებს: იმათ მამულში ვინც ჩვენ წოდებას არ ეკუთვნის, ამა და ამ ფასის ნაკლებ ნუ ვიმუშავებთო და სხვა.

კიდევ.

ს. დიდი გომარეთი (ბორჩალო). 28 მარტს ს. დიდ-გომარეთში ჩამოვიდა ს. ბაშკიჩეთიდან თრიალეთის ნაწილის პოლიციის ბოქაული ზაალიშვილი თავის თანდაყოლილ „სტრაჟნიკებითურთ“ და გამოჰკითხა გომარეთლებს წინადღით, კვირას, მომხდარ დიდ მანიფესტაციის ამბავი, მაგრამ ხალხი ძალიან გულ-გრილად დაუხვდა, თუმცა გამოჩნდა ორიოდე პირი, რომელმაც გასცა ამხანაგები. ბოქაულმა მოსთხოვა ხალხს უკანვე დაებრუნებინა კანცელარიის ქაღალდები და სოფლის მოხელეთა ნიშნები, მაგრამ უარი მიიღო. ბოქაული, აქ რომ ვერაფერს გახდა, წავიდა მახლობელ ბერძენთა სოფელ დემურ-ბულაღში და შეატყობინა საქმის გარემოება თავის მთავრობას. იმ ღამეს გომარეთში ხარი მოიპარეს, რომლის კვალი მეორე დღეს დემურ-ბულაღში მიიტანეს. ხარის პატრონს ამის შესახებ ბოქაულისთვის არ მიუმართნია და ხალხი დაჰპირდა ხარის მოძებნას ან მისის ფასის ანაზღაურებას.

30 მარტს ჩამოვიდნენ: მომრიგებელი შუამავალი თ-დი ი. დ. აფხაზი, მაზრის უფროსის თანაშემწე დ. ი. ბაქრაძე და მაზრის სამმართველოს მოხელე ფანიაშვილი. ესენი დიდხანს ესაუბრნენ გლეხებს. იმ საღამოთივე მოხდა გომარეთის საზოგადოების ყრილობა. თ. აფხაზმა სთხოვა ხალხს გულ-ახდილად გამოეთქვა თავისი საჭიროება და, თუ ვინმე არა-სასურველი პირი ურევია, გაედევნა კრებიდან. განდევნილ იქმნა ზემოხსენებული მოღალატე გლეხი. ხალხმა წარუდგინა იგივე მოთხოვნილებანი, რომელიც აღნიშნული იყო უკვე „ცნობის ფურცელში“. მხოლოდ უფრო დაწვრილებით აღნუსხა ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, მამულებზედ:

ჩვენ, დიდ-გომარეთისა, პატარა-გომარეთისა, მამულაანთ სოფლისა, ახირა და კაკლიანის მცხოვრებნი, დასახლებულნი სახაზინო მიწებზედ, მოვითხოვთ, რომ ეს მიწები ფას-გადუხდელად ჩვენ საკუთრებად დამტკიცდეს. ვინაიდან ამ სახაზინო მიწებიდან თითო კომლს ძლივს თითო დესეტინა გვხვდება, იძულებულნი ვიყავით გვეჩნა-გვეთესა სხვა გარშემო მდებარე მამულები, რომელიც დროთა განმავლობაში გამოგვეცალა ხელიდან და სასამართლოს გადაწყვეტილების ძალით ჩაჰბარდა კერძო მემამულეთ. უამმიწებოდ ჩვენი არსებობა ყოვლად შეუძლებელია, რის გამოც უნდა ავიღოთ მებატონეთაგან შემავიწროებელის პირობებით რამდენსამე შეძლებულ პირის შუამავლობით, რომელიც გვიორკეცებს ამისათვის საიჯარო ფასს. ეს მამულები, რამდენიც გვეყოფა აუცილებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, უნდა მოგვეჭრას საკუთრებად და მემამულენი დაკმაყოფილებულ იქმნენ ხაზინისაგან გინდ ფულით, გინდ მამულითვე. თავისუფალ სახელმწიფო მიწებზედ დასახლების ნება მიეცეს საქართველოში მცხოვრებ მკვიდრთ და აიკრძალოს უცხო ტომის გადმოსახლება.

ტყეზედ: სახაზინო ტყიდან (ხრამისა და დარბაზის აგარაკები) უფასოდ შეგვეძლოს ვისარგებლოთ საჭიროების დაკვალად ხე-ტყით, ნეკერით, შეშით, ქვით, ბალახით და წყლით. აგრეთვე განთავისუფლებულ ვიქმნეთ იმ გადასახადებისაგან, რომელიც ჩვენს წისქვილებზეა გაწერილი: 2% გადასახადი, ესრეთ წოდებული „სანაგუზდე“ და მირაბის ფული.

მღვდელზედ: მოისპოს დრამა, ე. ი. კოდი პური და ნახევარი კოდი ქერი კომლზედ გადასახადი და მის მაგივრად მღვდელს ხაზინიდან ჯამაგირი დაენიშნოს. დაწესდეს ჯვრის საწერი 4 მ., მიცვალებულის წინ-გაძღოლა 1 მან. და ბავშვის მონათვლა 20 კაპ.

პოლიციაზე: მოისპოს ეხლანდელი პოლიციის, სასამართლოს და საზოგადოდ მთავრობის მოხელეთა წეს-წყობილება, რადგან ერთნი გვამათრახებენ და მეორენი გვარბევენ. ამ აზრით აქამდის არსებული სოფლის პოლიციის და სასამართლოს მოხელენი ჩვენ მიერ გადაყენებულ იქმნენ და ჩვენი ზნეობრივ და ქონებრივ ინტერესების დაცვა მიგვინდვია ჩვენ შორის არჩეულ კაცთათვის (ათისა და ასის თავნი). რადგან მთავრობასთან კავშირის სრულიად გაწყვეტა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია, ჩვენ ვსტოვებთ დროებით ფორმალურად მამასახლისს და სხვა მოხელეთ, რომელთაც დავალებული ექნებათ შეასრულონ ყოველივე დადგენილება ჩვენ მიერ არჩეულ კაცთა და მიწერ-მოწერის წარმოება მთავრობასთან. მხოლოდ მიწერ-მოწერა და საქმის წარმოება უნდა იქმნეს ქართულს ენაზე.

ხალხის მართვა-გამგეობის შესახებ მოთხოვნილება განმარტებულ იქმნა იმ გვარად, რომ დაწესდეს საქართველოს მკვიდრთათვის სრული თვით-მმართველობა.

* * *

ფელეტონი

კანადა

(დასასრული *)

ვიდრე შევუდგებოდეთ კანადის სახელმწიფო წესწყობილების აწერას, კარგი იქნება, გავითვალისწინოთ კანადის ფედერაციის ავტონომიურ ნაწილების სივრცე და მცხოვრებთა რაოდენობა.

პრინც ედუარდის კუნძული	5179	ოთხკ. კილ.
ახალი შოტლანდია	53221	„ „
ახალი ბრუნსვიკი	72775	„ „
კვებეკი	589209	„ „
ონტარიო	568878	„ „
მანიტობა	167463	„ „
ბრიტანიის კოლუმბია	990132	„ „
ჩრდილოეთ-დ.სავლეთი მიწა.	6141997	„ „

მცხოვრებთა რიცხვი 1891 წელს:

პრინც ედუარდის კუნძული	109078
ახალი შოტლანდია	450396
ახალი ბრუნსვიკი	321263
კვებეკი	1488535
ონტარიო	2114321
მანიტობა	152506
ბრიტანიის კოლუმბია	97613
ჩრდ.-დასავლეთის მიწა	98767
სულ	4.832.679

კანადის ფედერაციის თავი არის გენერალ-გუბერნატორი, რომელსაც ნიშნავს ინგლისის მთავრობა. გენერალ-გუბერნატორს ჯამაგირი ეძლევა 100 ათ. მ. იგი ასრულებს საკონსტიტუციო მონარქის როლს. ფაქტიურად მას თითქმის არავითარი უფლება არა აქვს, ყოველისფერს მოქმედობს სამინისტროს რჩევისა და სურვილის თანახმად. პარლამენტის მიერ მიღებული კანონ პროექტი წარედგინება ხელმოსაწერად გენერალ-გუბერნატორს, რომელსაც შეუძლია არ დაამტკიცოს პროექტი, თუ იგი აშკარად ეწინააღმდეგება ბრიტანიის იმპერიის საერთო ინტერესებს.

პარლამენტი შესდგება ორის პალატისაგან — სენატი და დეპუტატთა (საზოგადოებათა) პალატა. სენატში 84 წევრია: 24 ონტარიოსაგან, 24—კვებეკისაგან 12—ახალი შოტლ., 12—ახალი ბრუნსვ., 3—მანიტობასაგან, 3—ბრიტანიის კოლუმბიისაგან, 4—ედუარდის კუნძულისაგან და 2—ჩრდ. დას. მიწისაგან. სენატორი უნდა იყოს არა ნაკლებ 30 წლისა და უნდა ჰქონდეს საკუთრება არა ნაკლებ 3000 დოლარის ღირებულებისა. სენატორს ნიშნავს გენერალ-გუბერნატორი (თანახმად სამინისტროს რჩევისა). სენატორების ასეთს დანიშვნას ძლიერ ცუდი გავლენა აქვს, რადგან სენატორები ინიშნებიან მთელი სიცოცხლით და რომელიმე პარტიას შეუძლია, როდესაც სამინისტრო მის ხელშია, სენატი სულ თავის მომხრეებით გაავსოს. სულ სხვანაირადაა მოწყობილი სენატის საქმე ავსტრალიის ფედერაციაში, სადაც თვითონ ხალხი ირჩევს სენატორებს ექვსი წლის ვადით.

დეპუტატთა პალატის წევრებს ირჩევს ხალხი, ხოლო არჩევნების უფლება აქვს მამაკაცს არა უმცირეს 21 წლისა, რომელსაც აქვს წლიური შემოსავალი 300 დოლარი, ან იხდის ბინის ქირას 20 დოლარს (დოლარი 1 მან. 94 კაპ.). დღეს პალატაში 215 წევრია: ონტარიოდან 92 დეპუტატი, კვებეკი —65, ახალი შოტლანდია 21, ახალი ბრუნსვიკი —16, ედუარდის კუნძული —6, კოლუმბია —6, მანიტობა —5 და ჩრდ. დას. მიწა—4.

ყოველ დეპუტატს და სენატორს ეძლევა ჯამაგირი 2000 მან. და აგრეთვე გზის ფული. კანონ-პროექტი უნდა განიხილოს და მოიწონოს ორივე პალატამ და ამას შემდეგ წარედგინება ხელმოსაწერად გენერალ-გუბერნატორს. ზოგიერთი საგნის შესახებ დეპუტატთა პალატას მეტი უფლება აქვს, ვიდრე სენატს. მაგალითად სახელმწიფო ფულების დახარჯვის შესახებ კანონპროექტი შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ დეპუტატთა პალატას და სენატს უფლება აქვს ან მიიღოს პირდაპირ ან უარჰყოს ასეთი კანონპროექტი, შესწორება კი არ შეუძლია.

კანადის საფედერაციო კონსტიტუცია შედგენილია შეერთებულ შტატების კონსტიტუციის მსგავსად, ხოლო ერთი დიდი განსხვავებაა მათ შორის: შტატებში მეტი უფლება აქვს მინიჭებული შტატს, ვიდრე ცენტრალურ მთავრობას, კანადაში კი მეტი აქვს საფედერაციო მთავრობას, ვიდრე ცალკე პროვინციის პარლამენტს. შტატების კონსტიტუციაში განსაზღვრულია და ჩამოთვლილია საფედერაციო მთავრობის უფლებები და რაც საქმე და საკითხი არ არის პირდაპირ ჩამოთვლილი, ყველაფერი ცალკე შტატების უფლებაშია. კანადაში კი სულ წინააღმდეგა. კანადის საფედერაციო მთავრობის უფლება (ВЛАСТЬ) არც გარკვეულია და არც განსაზღვრული, სამაგიეროდ განსაზღვრულია პროვინციების უფლება. კანადის ცენტრალურ პარლამენტს შეუძლია გამოსცეს კანონები ყველა საკითხის შესახებ, რომლის გადაწყვეტა არა აქვს მინდობილი პროვინციების პარლამენტებს.

ფედერაციის ცენტრალურ მთავრობის საქმეა—საზოგადოებრივი კრედიტი (შეუძლია აიღოს სესხი, რამდენიც უნდა და როგორც უნდა), სავაჭრო ურთიერთობის განსაზღვრა ფედერაციაში, გადასახადების მოკრეფა ფედერაციის საჭიროებისათვის, სასწორი და საზომი, ფოსტა, რკინის გზები, სამხედრო და საზღვაო სამსახური, თევზის ჭერა და ადგილობრივ მკვიდრთა ინდიელების ყოფა-ცხოვრება, აგრეთვე სისხლის სამართლის კანონ-მდებლობა. ქორწინება და ცოლ-ქმრის გაყრა, კანადის ქვეშევრდომად მიღება. ცალკე პროვინციის მთავრობას კი ექვემდებარება—მართლ-მსაჯულება, დაცვა და მოწესრიგება მოქალაქობრივ უფლებათა, სწავლა-განათლება, ქველ-მოქმედება და სხვა ყოველივე საქმე, რასაც მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა და ინტერესი აქვს. *)

აქვე უნდა განვიმეოროთ ისიც, რომ ფედერაციის მთავრობა ფაქტიურად სრულიად დამოუკიდებელია ინგლისის მთავრობისაგან, და ფედერაციის პარლამენტს შეუძლია დამოუკიდებლად გამოსცეს კანონები, გარდა ისეთებისა, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ინგლისის საერთაშორისო ხელშეკრულობას.

ასეთია საფედერაციო მთავრობა. რაც შეეხება ცალკე ავტონომიურ პროვინციების წესწყობილებას, ეს მოწყობილია ცენტრალურ მთავრობის მსგავსად. ყოველი პროვინციის თავია გუბერნატორი, რომელსაც ირჩევს 5 წლის ვადით ადგილობრივ მცხოვრებთაგან კანადის გენერალ გუბერნატორი. გუბერნატორი მოქმედობს თანახმად სამინისტროს რჩევისა. ყველა პროვინციაში თავისი პარლამენტია; ზოგან პარლამენტი ერთის პალატისაგან შესდგება, ზოგან სენატისა და დეპუტატების პალატისაგან.

ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ კანადის ფედერაცია წარმოადგენს რამდენისამე რესპუბლიკისაგან შემდგარ რესპუბლიკას. კანადის რესპუბლიკა თავისუფალია, ამ თავისუფლებას სრულებით არ ეწინააღმდეგება მცირედი, უფრო ფორმალური, ვიდრე რეალური, დამოკიდებულობა ინგლისისაგან.

კალამი

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2793.

*) როგორც ზევით ვსთქვით, გაცილებით მეტი დამოკიდებულობა და ფართო უფლებები აქვს ცალკე შტატის პარლამენტს შეერთებულ შტატების ფედერაციაში. ამის შესახებ ცალკე წერილში მოვილაპარაკებთ.

ოფიციალური ცნობა

(„კავკაზ" № 94)

გაზეთ „ცნობის ფურცლის" მე-2794 ნომერში მოთავსებულია შენიშვნა იმის შესახებ, რომ კავკასიის ნამესტნიკის თანამდებობის აღმასრულებლის გენერალ მალამას მიერ „კავ."-ში დაბეჭდილია ამ სავალდებულო დადგენილების გაუქმების შესახებ, რომელიც შეეხება ტფილისში იარაღის ტარების აღკრძალვას. *)

როგორცა სჩანს, კავკასიის უმაღლესს მთავრობის განკარგულება სწორედ ვერ გაუგიათ. გაზეთ „კავკაზ"-ის მე-91 ნომერში მართლაც გამოქვეყნებული იყო გენერალ-ლეიტენანტ მალამას მიერ, გაძლიერებულ დაცვის წესების ძალით, 8 მდგომარე აპრილს დაბეჭდილი სავალდებულო დადგენილება იარაღის ტარების, შენახვის და ვაჭრობის აღკრძალვის შესახებ. ეს სავალდებულო დადგენილება გამოცემულ იქნა ნაცვლად ტფილისის გუბერნატორის მიერ ამავე საგნის შესახებ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებებისა. განსხვავება ამ ორ დადგენილების შორის მხოლოდ ის არის, რომ სხვა და სხვა წესის დამნაშავეთა პასუხის გებაში მიცემისა. გუბერნატორის სავალდებულო დადგენილებათა ძალით, დამნაშავეთა პასუხის გებაში მიცემა შეიძლება სასამართლოს წესით, ამასთან უდიდესი ჯარიმა 25 მანეთს არ აღემატებოდა. ნამესტნიკის თანამდებობის აღმასრულებლის მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა ძალით-კი დამნაშავენი დაისჯებიან ადმინისტრატიულის წესით, როგორც ამას გაძლიერებულ დაცვის კანონები მოითხოვს, ამასთან ასეთი დამნაშავენი შეიძლება დაჯარიმებულ იქნენ 500 მანეთამდე ან დაპატიმრებულ იქნენ სამ თვემდე.

ამ რიგად აღკრძალვა იარაღის ტარებისა, შენახვისა და გაყიდვისა იმათთვის, ვისაც ამის უფლება არა აქვთ, არა თუ გაუქმდა, პირიქით, რეპრესია ამ ჟამად უფრო გაძლიერდა.

ახალი ამბავი

◆ დღეს, 13 აპრილს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში **მოხდება პედაგოგთა თათბირი.** როგორც გავიგეთ, ბევრი ხალხი შეიკრიბება და თათბირი საინტერესო იქნება. თათბირი დაიწყება საღამოს 8 საათზე.

◆ 5 აპრილს **შავი ქვის** მწარმოებელთა საბჭოს შემდეგი დეპეშა მოუვიდა პეტერბურგიდან საბჭოს თავმჯდომარისაგან: „დღეს წარვუდგე კავკასიის ნამესტნიკს გრ. ვორონცოვ-დაშკოვს. გრაფმა დიდის ყურადღებით მოისმინა ყველა შუამდგომლობა და შემპირდა ჩასვლისთანავე მოეწყოს ჭიათურის მცხოვრებლებზე გაწერილ ფულის საქმესო; მწარმოებელთა წარმომადგენლებს ნებას მივცემ დაესწრნენ მომავალს კრებას ადგილობრივ საჭიროებათა შესახებ მოსალაპარაკებლადო; ტარიფის საქმესაც თანაგრძნობით შეხედა და მომთხოვა წერილობით განმარტების წარდგენა ამ საქმის თაობაზე. ასეთ წერილს ვეცდები და ამ დღეებში წარვუდგენ"...

რამდენადაც ვიცით, ჭიათურელებზე გაწერილ ფულის გადახდევინებას შეუდგნენ კიდეც წარსულ კვირას.

◆ 11 აპრილს ტფილისის ქალაქის მოურავის თანადასწრებით უსახელო საზოგადოების წარმომადგენელს მოლაპარაკება ჰქონდა **ტრამვაის მოსამსახურეებთან** შესათანხმებლად, მაგრამ შეთანხმება მაინც ვერ მოხერხდა, რადგან გრიმანისი კიდევ ვადად ითხოვს 15 დღეს, ბრიუსელში გამოელაპარაკოს საზოგადოებას. წარმომადგენლებმა განაცხადეს, 9 დღეში შეგეძლოთ დეპეშით ყველაფერი მოგეხერხებიათ და რადგან ჩვენთვის თავი არ შეიწუხეთ, მუშაობა აღარ შეგვიძლიანო. წუხელ კიდევ ჰქონდათ მოლაპარაკება და თუ ვერ შეთანხმდნენ, დღეიდან შესწყდება ტრამვაის მოძრაობა. გრიმანისს უკვე გაუგზავნია დეპეშა ბრიუსელში.

◆ ამ რამდენიმე წლის წინად **ბოზარჯიანცის თამბაქოს ქარხნის მუშებმა** საერთო საქმისათვის გაიწერეს ფული. შეგროვილ თანხიდან მუშებს უნდა ესარგებლნათ გაფიცვების დროს. შეიკრიბა 12,000 მანეთამდე. ბოზარჯიანცმა ეს ფული დაიჭირა და მუშები იძულებულნი გახდნენ მთავრობისთვის მიემართნათ. შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით, აღნიშნული თანხა მუშებს (ასე 150 კაცს) დაუბრუნდა. კვირას მუშები შეიკრიბნენ ალექსანდრეს ბაღში და მოილაპარაკეს როგორ მოიხმარონ დაბრუნებული ფული. მაგრამ პოლიციამ გაფანტა შეკრებილნი. გუშინ მუშებმა სთხოვეს ქალაქის მოურავს, რადგან არსად არ შეგვიძლიან შევიკრიბნეთ, გვიშუამდგომლეთ საბჭოს დარბაზი დაგვეთმოსო. ქალაქის მოურავმა აღუთქვა დახმარება.

◆ **ქართლ-კახეთის საეპარქიო სასკოლო საბჭოს** განყოფილებას, როგორც გავიგეთ, უბრუნდება ის უფლებანი, რომელნიც საოლქო საბჭომ მიითვისა. ამის შემდეგ განყოფილებას მიენდობა სრული უფლება მასწავლებელთა დანიშვნისა. განყოფილება განიხილავს ყოველსავე საქმეს, რომელიც-კი სკოლას შეეხება; კალ. ცინცაძე, რომელმაც პირველ ხანს უარი განაცხადა განყოფილების თავმჯდომარეობაზე, ეხლა თანახმაა. იმის თანაშემწედ ნიშნავენ მღ. ნესტორ მაჭარაშვილს.

◆ 11 აპრილს **ტფილისში გაიფიცნენ რესტორანების,** სასტუმროების, კერძო ოჯახების ლაქიები, მზარეულები და ხელზე მოსამსახურენი. ამათ თავიანთი მოთხოვნილებანი წარუდგინეს პატრონებს. გუშინ და გუშინწინ თითქმის არც ერთი რესტორანი არ იყო ღია. კერძო სახლებშიაც თვითონ დიასახლისებს მოუხდათ სადილ-ვახშმის მომზადება. 11 აპრილს, როგორც გადმოგვცეს, ამ გაფიცვის გამო ტფილისში დაუპატიმრებიათ 60 კაცი: ლაქიები, მზარეულები და სხვა. ყველანი თავიანთ სოფლებში დაუგზავნიათ. ლაქია-მზარეულებს უნდოდათ საერთო კრება გამართონ თავიანთ გაჭირვებულ მდგომარეობაზე მოსალაპარაკებლად, მაგრამ ვერსად ვერ მოუხერხებიათ, რადგან პოლიცია ნებას არ აძლევს.

◆ როგორც „ივერია"-ს გაუგია, სამოსწავლო ოლქის უფროსი **ზავადსკი ამ ცოტა ხანში პეტერბურგს მიდის** და აღარც დაბრუნდება თურმე უკან.

◆ როგორც ამბობენ, **საქართველოს ეგზარხოსი** ალექსი აღდგომის შემდეგ აპირობს პეტერბურგს წასვლას.

◆ 11 აპრილს, საღამოს 8 საათზე, სანთლის ქარხანაში, ვერაზე, მღვდელ სიმონ რცხილაძეს თავს **დაეცა თოთხმეტამდის შეიარაღებული კაცი** და მოსთხოვა ფული. რადგან მოლარე იქ არ აღმოჩნდა და კასის გაღება ვერ მოახერხეს, გაძარცვეს კერძოდ მღ. რცხილაძე, წაიღეს შვიდი თუმანი და წავიდნენ. იარაღი არ უხმარიათ.

◆ **ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი,** ინჟენერი ივანოვსკი, როგორც „ტ. ლ."-ს გაუგია, გადაჰყავთ ციმბირის რკინის გზის იმ ნაწილის უფროსად, რომელიც ბრძოლის ველის რაიონშია.

◆ ამ სამის წლის წინად ახალქალაქის მაზრაში დასახლებულ **დუხაბორების სოფლებიდან** ამერიკაში (კანადაში) გადასახლდა რამდენიმე საზოგადოება. ზოგიერთა გადასახლებულნი თავიანთ ნათესავებს და ნაცნობებს სწერდნენ და იწვევდნენ თავიანთთან; ზოგიერთნი-კი იწერებოდნენ, ნუ წამოხვალთ, არ ვარგა აქ ცხოვრებაო. ამ ბოლოს დროს შეგროვილან ერთად ამ სოფლების დუხაბორები, უთათბირნიათ, გაგზავნონ ორი კაცი კანადაში, რომელთაც უნდა აწონდაწონონ იქაური ვითარება, დაათვალიერონ ადგილები და ყველაფერი აცნობონ აქაურებს.

◆ **საეპარქიო სასწავლებლის** დაბალ კლასების მოწაფეები, რომელთაც ეგზამენები 9 აპრილს გაუთავდათ, საზაფხულოდ დაითხოვეს. უფროს კლასებში ეგზამენები გათავდება 1 მაისს.

◆ როგორც გვწერდით, ქუთაისის გუბერნიის **სახალხო სკოლების მასწავლებლებმა დაადგინეს** შესწყვიტონ სწავლა, ვიდრე დღევანდელი წეს-წყობილება არ შეიცვლება. „ჩერ. ვეს."-ს სიტყვით, ასევე მოქცეულან ბათუმის პირველ დაწყებით სკოლების მასწავლებელნი. ამის გამო დირექციას ერთი მასწავლებელი დაუთხოვნია კიდეც.

◆ როგორც გადმოგვცეს, **ტფილისის სასულიერო სემინარიის** პირველ კლასში მისაღები გამოცდა მხოლოდ რუსულს თხზულებასა, რუსულს ენასა და გეოგრაფიაში იქნება.

◆ თებერვალში ჭიათურის შტოთი გაიტანეს 63,000 ფუთი **შავი ქვა.** ჭიათურის, ქიქოურის და დარკვეთის საწყობებში პირველ მარტისათვის იყო $19^{1}/_{2}$ მილიონი ფუთი ქვა. საზღვარ-გარედ გაუტანიათ 786,691 ფუთი. მსოფლიო ბაზარზე შავი ქვის ფასი არ ასცილებია რვა პენსს.

◆ ტფილისის **ფოსტა ტელეგრაფის კანტორას** ეს რამდენიმე დღეა სალდათები იცავენ.

◆ გუშინ, 12 აპრილს, **ტფილისის ქალაქის საბჭოს დეპუტაციამ** მიულოცა გენერალ მალამას ნამესტნიკის თანაშემწედ დანიშვნა.

◆ **თელავი.** აბრეშუმის სახვევ ქარხნის მუშა ქალები გაიფიცნენ. ერთი კვირაა, რაც მუშაობა შესწყვიტეს. მცირე მოთხოვნანი წარუდგინეს, მაგრამ მცირეზედაც ვერ დაიყოლიეს პატრონი. ვისაც დღეში 10 კაპ. ჰქონდა 20 კაპ. და ვისაც 25 კ. ჰქონდა—50 კაპ. ითხოვენ. უმრავლესობა მცირე ფასიანია, მაინც მაგრობს პატრონი, იმდენსაც ვერ იმეტებს, რამდენი პური და ხახვი მოუნდება. სხვა და სხვა ხერხს ხმარობს, რომ დაითანხმოს. თუ ეხლა ვერ გაიმარჯვეს, ნელდ პარკობას უეჭველად გამარჯვება მუშა ქალებს დარჩებათ.

◆ ჩვენმა რედაქციამ ბ-ნ გიორგი თეოდორეს ძის კუნდუროვისაგან მიიღო ოცდახუთი მანეთი მომავალ დღესასწაულებში **ღარიბ ქართველთათვის დასარიგებლად.**

◆ კავკასიის საბრეშუმო სადგურთან ტფილისში და სოხუმის საცდელ მინდორთანა არსდება **სკოლა მოსწავლე პრაქტიკანტთათვის.**

◆ ქალაქ ტფილისში ხმა გავრცელდა, რომ 9 აპრილს **ყაზახ-რუსებმა** უწესოების ჩაქრობის დროს ცემით მოჰკლეს გიმნაზიელი გიორგი სომხიევიო. ეხლა ტფილისის პოლიცმეისტერი „კავკაზ"-ში აცხადებს, რომ სომხიევი ტვინის ანთებისაგან მოკვდა და განსვენებულის ძმა ძალიან გაოცდა, როდესაც ეს ხმები გაიგოო.

◆ მიწათ-მოქმედების დეპარტამენტმა აცნობა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, რომ ტფილისის საბაღოსნო სკოლის საპედაგოგიო საბჭოს შეხედულებისამებრ მოწაფენი გადაყვანილ იქმნენ შემდეგ კლასებში ნიშნების მიხედვით, ხოლო პრაქტიკულ სამუშაოებიდან განთავისუფლებულ იქმნენ.

◆ ტფილისის ქალაქის სამხედრო საკრებულოს ცნობებით, წელს სამხედრო ბეგრისთვის კენჭის ამოსაღებად გაწვეულ იქნება 469 კაცი.

◆ პოლიციის მე-4 ნაწილში, გაიანოვის ქუჩაზე, 11 აპრილს, 9 საათზე მისულა ერთი ვიღაც უცნობი კაცი და ჩაუმტვრევია ფანჯრები ნოტარიუსის ნიკოლაევის კანტორისა. ეს შეუნიშნავს მანთაშევის მეეზოვეს და მოუნდომებია უცნობის დაჭერა. უცნობს ერთი გაურტყამს მეეზოვისათვის და იქვე გაუგორებია. შემდეგ უცნობი გაქცეულა ლერმონტოვის ქუჩით, მაგრამ ყვირილ-ყიჟინა ატეხილა და მას გამოსდევნებია მეეზოვე ელკოვი. უცნობი მობრუნებია, მეეზოვეს ესროლია მისთვის რევოლვერი, შემდეგ საფაროვის სახლის ეზოთი გასულა ველიამინოვის ქუჩაზე. აქ მას დაჰხვედრია კეტ აღირებული მეეზოვე ციბუნენკო; მისთვის ესროლია რევოლვერი, მაგრამ აუცილებია. უცნობი შემდეგ გამოსულა ერევნის მოედანზე და დამალულა.

◆ ტფილისის სამხედრო სასანიტარო კომისია 13 აპრილს დილის 10 საათიდან შეუდგება ტფილის აბანოების სანიტარულად შემოწმებას.

◆ სოფელ მამუკას მცხოვრებს ილია მებადურიშვილს და სოფელ კაკაბეთის მცხოვრებს ვანო მარგებლიძეს კახეთის მოედანზე ჩხუბი მოუვიდათ. პირველმა მეორეს ესროლა რევოლვერი და ფეხში დასჭრა. დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს.

◆ 11 აპრილს, ღამე, პოლიციის მე-7 ნაწილში, რკინის გზის ლიანდაგის მახლობლად, ნახეს გვამი, სულ ნაწილ-ნაწილად ქცეული. მოკლული აღმოჩნდა ტფილისის მცხოვრები სერგო ზურაბოვი, რომელიც ქურდი იყო და რამდენიმე კვირაა საპყრობილიდან გაანთავისუფლეს. მკვლელი არ იციან.

◆ ტფილისის სავაჭრო სკოლაში ეგზამენები დასრულდა და გაათავა სულ 23 მოწაფემ. ამათში 11 სომეხია, 10 ქართველი, 1 რუსი და 1 ებრაელი.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 12 აპრილი. როგორც უკვე იცით, 28 მარტს ქალაქის საბჭომ დაადგინა მოემატოს პოლიციელთა რიცხვს. ქალაქის საბჭოს გუშინდელმა კრებამ გადაათვალიერა ეს დადგენილება და გააუქმა.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ხმებმა, ბაქოში ხოლერის გაჩენის შესახებ, გამოაფხიზლა ქალაქის სასანიტარო კომისია, რომელმაც ხანგრძლივ ძილის შემდეგ, 2 აპრილს მოიყარა თავი სხვა-და-სხვა სასანიტარო საქმეების განსახილველად. განხილულ იქმნა ოცდა-ათამდე ოქმი მცხოვრებთაგან სანიტარულ წესების დარღვევის შესახებ ხოლერიანობის დროს. ასეთი ოქმები, მოგეხსენებათ, საგუბერნიო მმართველობას ეგზავნება და დამნაშავენი ადმინისტრატიულის წესით ისჯებიან. ოქმები თითქმის ყველა ერთი და იმავე შაბლონითაა დაწერილი, თითქოს ყოველს ეზოში, ყოველს ბინაზე ერთნაირად ყოფილიყოს დარღვეული სანიტარული წესები, თითქოს ოქმების შემდგენელთ ყველგან ერთნაირი უსუფთაობა ენახოთ. ამ გარემოებამ ეჭვი დაჰბადა კომისიის წევრთა შორის, ვაი თუ ოქმები კაბინეტში იწერებოდეს და ისეთებიც სასტიკად დაისაჯონ, რომელთაც დანაშაული არ მიუძღვითო. ამიტომ კომისიამ ოქმის ადგილობრივ შემოწმება მიანდო სამს სასანიტარო კომისიის წევრს: ი. ი. ჩარექოვს, ი. გ. გომართელს და პ. დონდაროვს. თუ ესენი დაინახავენ, რომ ოქმებში აღწერილი წესების დარღვევა ამ ჟამად არ არსებობს, ოქმები გაუქმებულ იქმნესო. კომისიამ საჭიროდ დაინახა ეხლავე დაიქირაოს ორი სასანიტარო მზრუნველი. ექიმს ჩარექოვს დაევალა სასანიტარო ფერშლების შოვნა. სასანიტარო ექიმის თანამდებობა, თუ ვინიცობაა ქალაქში ხოლერა გაჩნდა, იკისრა ექიმმა ე. ს. ვაშაკიძემ. ამ გვარად ქალაქს ხოლერიანობის დროს ეყოლება სამი სასანიტარო ექიმი: ი. ი. ჩარექოვი, ი. გ. გომართელი და ე. ს. ვაშაკიძე. ლაპარაკი ჩამოვარდა იმის შესახებ, თუ სად უნდა დაინიშნოს სასაფლაო ხოლერით გარდაცვალებულთათვის. წინად ასეთი სასაფლაო ქალაქს სალორიის ტყეში ჰქონია, მაგრამ ეხლა იმ ადგილის მახლობლად ქალაქი საავადმყოფოს აშენებას აპირებს და მავნებლადა სცნეს საავადმყოფოსთან ამ გვარ სასაფლაოს დაარსება—ავადმყოფებზე ცუდ გავლენას იქონიებსო. კომისიამ მიანდო ბ-ნს დონდაროვს ამ საკითხის შესახებ წერილობითი მოხსენების წარმოდგენა. თავლებში სისუფთავის დასაცავად უმჯობესად სცნეს თიხით მოზვინული (ГЛИНОБИТНЫЕ) იატაკი ან ფიცრისა. დაადგინეს: გამოეცხადოთ თავლების პატრონთ, რომ ერთი თვის განმავლობაში ცნობის მიღებიდან გააკეთონ თავლებში თიხით მოზვინული ან ხის იატაკები.

◆ ქუთაისის ქალაქის საბჭომ 4 მარტს ერთხმად მიიღო გამგეობის მოხსენება შესახებ იმისა, რომ უკეთესად იქმნეს დაყენებული ქალაქის პირველ-დაწყებით სასწავლებლებში სწავლა-აღზრდის საქმე. ეს დადგენილება ქუთაისის ვიცე-გუბერნატორს არ დაუმტკიცებია, რადგან საქალაქო დებულებას ეწინააღმდეგებაო, და გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოსათვის გადაუცია განსახილველად, სადაც თავმჯდომარედ თვითონვე იქნება.

◆ ქუთაისის დახურულ სასწავლებლების როგორც ვაჟების, ისე ქალების მოწაფეებმა—უფროსის კლასისამ—ეგზამენები უნდა დაიჭირონ ისე, როგორც ექსტერნებმა. ასეთს გადაწყვეტილებას დაადგნენ ყველა ამ სასწავლებლის საპედაგოგიო საბჭოები.

◆ საგუბერნიო მთავრობამ დაამტკიცა ქალაქის საბჭოს დადგენილება წყლისაყვანის ამხანაგობასთან დადებულ პირობის გაუქმების შესახებ.

◆ ქუთაისურებს მალე ექმნებათ ტელეფონი. სახლებში უკვე დადგეს ტელეფონის მანქანები (აპარატები); ეხლა ქუჩებში სვეტების დადგმა და მავთულების გაყვანა საჭიროა. ჯერ-ჯერობით ასი აბონენტია ტელეფონის დადგმის მსურველი; ეს რიცხვი თანდა-თან მატულობს, ასე რომ იმედი აქვთ მალე ორასამდის მიაღწევს. ტელეფონის სადგურზე რამდენიმე ადგილი იქნება, რომლებზედაც საჭირებელი მოხელენია, ნამეტურ ქალები.

ტფილისის ქალაქის საქმეები

11 აპრილი

ნაძალადეველნი მესამედ დაესწრნენ საბჭოს კრებას. უნდოდათ გაეგოთ, ქალაქის „მამები" როგორ გადასწყვეტდნენ მათთვის საინტერესო საქმეს ქალაქის მიწების დათმობის შესახებ. მოურავის მოადგილე, თავ. ჩერქეზიშვილმა აცნობა კრებას, რომ ნაძალადეველთა შუამდგომლობა ამ საღამოს ვერ იქნება განხილული, რადგან ქალაქის მოურავი მთელი დღეები რკინის გზის მოსამსახურეთა საქმეების განსახილველად მოწვეულ კომისიაშიაო. რათა ნაძალადეველთ ტყუილად არ მოუნდეთ კრებაზე სიარული, გამგეობამ ამ საქმის განსახილველად, საბჭოს თხოვნით დაინიშნა 26 აპრილი.

ხმოს. ბაბოვმა განაცხადა, მეტად შევიწროებულნი არიან ადგილობრივი დრო გამოშვებითი გამოცემანი. ორ ნაირი ცენზურა აწევთ თავზე. საბჭოს კრების ანგარიშებიც არ იბეჭდება შეუცვლელადაო. ხმოსანმა წინადადება მისცა საბჭოს დეპეშით სთხოვოს კობეკოს კომისიას ააშოროს გაზეთებს ასეთი შემავიწროვებელი გარემოება. ამას გარდა, განაგრძო ხმ. ბაბოვმა ვთხოვ გამგეობას გვაცნობოს, იცის რამე თუ არა დუქნების გამგე კომისიის გადაწყვეტილების შესახებ. კომისიას დაუდგენია ერთი დუქნის სრულიად დაკეტვა. რატომ აქამდე ანგარიში არ წარმოუდგენია კომისიას და ფაქტიურად დუქნების რევიზიას ახდენს ვინმე თუ არა. დასასრულ არ შემიძლიან არ აღვნიშნო სახლის პატრონთა მდგომარეობა. ეს მეორე კვირაა სახლის პატრონებს წერილები მოსდით, მეეზოვენი დაითხოვეთო. სახლის პატრონებს დიდი ხანია უნდათ მოიშორონ მეეზოვენი, მაგრამ მთავრობა ნებას არ აძლევს პოლიციის მე-9 ნაწილის მცხოვრებთ დაადგინეს კრება მოახდინონ ამ საქმის გამო. გამგეობამ იშუამდგომლოს ნებართვის შესახებაო. თავ. ჩერქეზიშვილმა აცნობა საბჭოს: დუქნის დაკეტვის შესახებ გამგეობამ მიიღო კომისიის დადგენილება, მაგრამ ჯერ არ განუხილავს, ანგარიში დუქნებისა მიღებულია წასულ წლის 1 დეკემბრამდე და შემდეგი კი ჯერ არ მიგვიღია. რაც შეეხება მეეზოვეთ, ქალაქის მოურავი იშუამდგომლებს და შესაძლებელია სახლის პატრონებს ნება დაერთოთ კრებისა. რევიზიის მოხდენის შესახებ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კომისია ჯერ არ შესდგომია რევიზიის მოხდენას, რადგან ანგარიში არ არის მიღებულიო. ხმოს. მირზოევმა და ხუდადოვმა საბჭოს ყურადღება მიაქციეს ტრამვაის კონდუქტორებისა და ვატმანების მიერ წარდგენილ მოთხოვნილებებს. უსახელო საზოგადოება და მოსამსახურენი ვერ შეთანხმდნენ, ამიტომ შესაძლებელია მოსამსახურეთ 13 აპრილიდან შესწყვიტონ მუშაობაო. თავ. ჩერქეზიშვილმა აცნობა საბჭოს, ეხლა ამ საქმის შესახებ ვერავითარს გადაწყვეტილებას ვერ დავადგებით, რადგან საქმეთა განსახილველ სიაში არ გვაქვს შეტანილიო.

შემდეგ საბჭო შეუდგა მიმდინარე საქმეების განხილვას. რამდენიმე წვრილმანი საქმეების განხილვის შემდეგ მთელი საღამო საბჭომ მოანდომა ქალაქის სხვა-და-სხვა დაწესებულებათა მოხელე მოსამსახურეთათვის სადღესასწაულოდ ფულით დახმარების შესახებ წინადადების განხილვას. დასასრულ დაადგინეს, 18,700 მან. გადასდონ ყველა მოხელე მოსამსახურის დასასაჩუქრებლად. საბჭომ დაადგინა, იმათ მეტი მიეცეთ, ვინც ნაკლებ ჯამაგირს იღებს.

იმერეთის თავად-აზნაურთა კრება.

9 აპრილს დაიწყო იმერეთის თავად-აზნაურთა კრება. დღემდის ორჯელ კერძოდ შეიკრიბა რამდენიმე კაცი და გუბერნიის წინამძღოლის თავმჯდომარეობით გაირკვია მომავალ კრების სათათბირო საგნები. ამ კერძო კრებებზე უმეტესის ყურადღებით ორი საკითხი წამოაყენეს. პირველი ადრესი იყო. პირველ კერძო თათბირზე აირჩიეს კომისია ადრესის შესადგენად და, როგორც დაავალეს, კომისიამ მეორე დღეს წარმოადგინა სამი პროექტი ადრესისა. ერთი იყო საერთოდ კომისიის მიერ შემუშავებული, მეორე—კომისიის ერთი წევრისა და მესამეც შევსებულ და შესწორებული თვით კომისიის მიერ. თათბირზე რედაქცია უწუნეს ყველა ამ პროექტებს და გვიანად დაავალეს კომისიას შენიშვნების მიხედვით შესწორებული და განმარტებული წარმოედგინა 9 აპრილს, კრების დაწყებამდის, რომ ახალმა კომისიამ შეარჩიოს სამივე პროექტი და მათგანი საუკეთესო წარუდგინოს საზოგადო კრებას. თავად ამ საზოგადო კრების მოხდენაც უხერხულად და საფრთხილოდაც სცნეს ზოგიერთებმა ამ საერთოდ მღელვარების დროს, როცა ცხოვრება არ არის ნორმალურს კალაპოტში; შეიძლება კრებაზე წამოყენებული იქმნეს ისეთი საკითხები, რამაც უარესად გაამწვავოს ისედაც აღძრული ვნებები და სხვა-და-სხვაო. წარმოითქვა ის აზრიც, რომ დღევანდელ წოდებრივს ნიადაგზე გამწვავებულს მდგომარეობას ჩვენში სულ გვერდი ავუხვიოთ, ნუ ვითათბირებთ ამაზედაო. ასეთი აზრი უცნაურად ეჩვენა ბევრს. კრება უთუოდ უნდა მოხდეს და უმთავრესი საგანიც კრების ბაასისა სწორედ ახლანდელი გამწვავებული ურთიერთობრივი განხეთქილება უნდა იყოს თავად-აზნაურთა და გლეხთა შორის. სოფლიდან გამოძევებული თავადი და აზნაური მიდის თავად-აზნაურობის საზოგადო კრებაზე იმ იმედით, რომ კრებაზე გაიგოს რამე. პირიქით, ეგ უნდა იყოს უმთავრესი საგანი ჩვენის კრებისაო. ზოგმა განაცხადა, გვინდოდა მოვრიგებოდით გლეხობას, მაგრამ ვერა მოვახერხეთ-რაო. ბევრნი უჩიოდნენ აწიოკებას, აკლებას. სთქვეს, ყოველთვის ყოფილან ისეთი თავ-აღებული და ზნე-დაცემული პირები, რომელნიც სწორედ ამისთანა დროს გამოჰქრთოდნენ თავს მღვრიე წყალში თევზის საჭერადაო. მხოლოდ რა უნდა ვიღონოთ ასეთ პირების წინააღმდეგ. გვეუბნებით, წადით სოფლად, ჩაუდექით ხალხსაო. გვაქვს კი ამის ნება? ბევრი რამეა, რაიც უმაღლესად შეიძლება ნება დართულიც იყოს, მაგრამ აქ ჩვენამდის ამ ნებართვას იმდენად ეკვეცება ფრთები და ეთლება გვერდები, რომ უბრალო მოხელეს შეუძლიან ჩვენი გაძაგვრა, გამათრახება. მოგვეცით იმის გარანტია, რომ დაცულ იქნეს ჩვენი პირადობა და ბევრი ჩვენგანი დასთმობს საკუთარს ანგარიშს, სამსახურს და წავალთ სოფლებში, რომ მოვაწესრიგოთ თქვენსა და გლეხთ შორის ეგ გამწვავებაო. დასასრულ კერძო კრებამ მოიწონა ერთის წევრის წინადადება: ვთხოვოთ გუბერნიის უფროსს—მოიწვიოს ყოველ მაზრიდან ოც-ოცი პირი წოდების განურჩევლად, რომ აქ ითათბირონ, მოილაპარაკონ, არჩიონ და შემდეგ დაბრუნდნენ თავ-თავიანთ მაზრებში, და ხელი შეუწყონ და შეეცადნენ თავად-აზნაურთა და გლეხთა შორის გამწვავებულ მდგომარეობის მოწესრიგებასო.

ეს იყო კერძო თათბირი. ოფიციალური კრება 9 აპრილს, 12 საათზე დაიწყო.

რუსეთის ქრონიკა

პოლონელ ნაციონალ-დემოკრატების პროგრამა დაბეჭდილია „რუს"-ის 88 ნომერში. პროგრამას წინ უძღვის ვრცელი წინასიტყვაობა, სადაც აწერილია აუტანელი მდგომარეობა რუსეთის გაბატონებულ უკანტროლო ბიუროკრატიის მიზეზით. ამ აუტანელ მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლებელია კერძო ხასიათის რეფორმების საშუალებითო, ამბობს პარტია. ნამდვილი გაუმჯობესება კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პოლონეთს ექნება მის ხასიათის, ისტორიულ განვითარების და სოციალ-ეკონომიურ წყობილების შესაფერი ავტონომია. ავტონომიასთან ერთად პოლონეთის საზოგადოება თხოულობს შემდეგ რეფორმებს: 1. პოლონური ენა უნდა იქნას ოფიციალურ ენად აღიარებული საზოგადოებრივ ცხოვრების ყოველ სფერაში, ადმინისტრაციასა, სასამართლოსა და სკოლაში. 2. აღდგენა კათოლიკე ეკლესიის სრულუფლებიანობისა და თავისუფლება ყველა სარწმუნოებისა. 3. მართვა-გამგეობა და ადმინისტრაცია ადგილობრივ ელემენტებზე უნდა იქნეს დამყარებული. 4. შემოღება შესაფერ ადგილობრივ თვითმმართველობისა მთელის ხალხის მონაწილეობით განურჩევლად. 5. მშვიდობიანობის დროს სამხედრო ბეგრის მოხდა პოლონეთის საზღვრებში. 6. მოსპობა ყველა საგანგებო კანონებისა, საპასპორტო სისტემისა; პიროვნებისა და ბინის ხელშეუხებლობა, თავისუფლება სიტყვისა, წერისა და შეკავშირებისა. 7 შეთანხმება კანონმდებლობისა, სასამართლოსა და სკოლისა ადგილობრივ პირობებთან და ისტორიულ ტრადიციებთან და დამყარება ყველა ამისა პოლონეთის საგანგებო ბიუჯეტზე.

აღნიშნულ რეფორმების მოხდენა უნდა მიენდოს ადგილობრივ პირობების მცოდნე პირებს, პოლონურ საზოგადოების ნდობით მოსილებს და, მაშასადამე, ხალხის მიერ არჩეულებს.

პროგრამა, როგორც ვხედავთ, მეტად ზომიერია, ყოველ ლიბერალ-ბურჟუაზიულ პარტიისაგან მისაღები; გაზეთი „რუს"-ი კი ამბობს:—რუსები მას ვერ მიიღებენო.

დიდის მთავრის სერგეი ალექსანდრეს ძის მკვლელს კოლიაევს განსამართლებამდე დედა დაუბარებია მოსკოვში. დედას რამდენჯერმე უნახავს შვილი და აფიცრის დასწრებით ულაპარაკნია კიდეც. სხვათა შორის, კოლიაევს დაუფიცებია დედა—არამც და არამც არ ითხოვო ჩემი პატიებაო. („რ. ს.").

---

*) გუშინ უკვე მოვიხსენიეთ, რომ ეს უბრალო კორექტურული შეცდომა იყო და სხვა არაფერი. დაბეჭდილი გვქონდა, რომ „ნამესტნიკის თანაშემწის მიერ გაუქმებული სავალდებულო დადგენილება", უნდა ყოფილიყო-კი: „კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწის გამოქვეყნებული სავალდებულო დადგენილება".

ს. ი. ვიტტემ სამსახურიდან გადადგომის ქაღალდი შეიტანაო, გავრცელებულა ხმა პეტერბურგში ამ ერთის კვირის წინად.

ბულიგინის კომისიას თითქმის დაუმზადებია საჭირო მასალა საგანგებო თათბირის მოსაწვევად წარმომადგენლობის მოწყობის გამო. ეს თათბირი მოწვეული უნდა იქნეს ივნისისათვის; მანამდე ბულიგინს განზრახვა აქვს მოიწვიოს ერობის და ქალაქის წარმომადგენელნი იმის გადასაწყვეტად, თუ ვინ უნდა იქნეს წარმომადგენელად საგანგებო თათბირში, რომლის თავმჯდომარედ მინისტრი იქნება.

კობეკოს კომისია მაისში დაამთავრებს თავის მუშაობას და შემუშავებულ პროექტს წარუდგენს სახელმწიფო საბჭოს.

ფასიანი ქაღალდები და რუსეთის ზარალი. „რუსკოე სლოვო"-ში გამოანგარიშებულია, რა ზარალი მოუვიდა რუსეთს პროცენტიან ქაღალდების ფასის დაცემით, რომელიც იაპონიასთან ომიანობამ გამოიწვია:

„სახელმწიფო რენტა სამი მილიარდის გვაქვს; თითოეულ ქაღალდზე 17 მანეთი ზარალია; სულ—510 მილიონი.

რუსეთში 22 საქალაქო საკრედიტო დაწესებულებაა, რომელსაც მილიარდ-ნახევარი ობლიგაციები გამოუცია; ამ ობლიგაციების ფასს 15% დააკლდა; მთელი ზარალია—225 მილიონი.

საადგილ-მამულო ბანკებს 2 მილიარდის ობლიგაციები აქვს; დაეცა ფასი 17%-ით; სულ ზარალი—340 მილიონი.

გირავნობის ფურცლებზე (4 პროცენტიან სათავად-აზნაურო, 4 პროცენტიანი საგლეხო და 3½ პროცენტიანი სათავად-აზნაურო), რომელთა ფასი 700 მილიონს უდრის, იზარალეს 200 მილიონი; რკინის გზის საზოგადოებათ (2½ მილიარდის ობლიგაციები, ობლიგაციაზე—დაიკარგა 22%) იზარალეს 500 მილიონი.

პუტილოვის ქარხნის დახურვამ, გუშინ რომ მოხდა (5 აპრილს), უკვე ისეთი გავლენა იქონია ბირჟაზე, რომ ერთის დღის განმავლობაში ზარალი 720 მილიონს უდრის".

სიმართლე ქართულ ეკლესიაზე

პროფ. ნ. მარრისა. *)

ეს არის წავიკითხე გაზეთ „რაზსვეტ"-ში პასუხი ნ. დურნოვოს წერილზე—„ქართულ ეკლესიის დევნის გაძლიერება"-ზე. პასუხი ეკუთვნის ყოვლად სამღვდელო დიმიტრის, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს. დარწმუნებული გარ, რომ მარტო მე არ მოუყვანივარ განცვიფრებაში ყოვლად სამღვდელოს, მეტი რომ არ ვთქვათ, სახიფათო სიტყვებსა და ფრაზებს. რუსეთის საზოგადოებას, რომელიც, სამწუხაროდ, ძალიან ცოტად იცნობს კავკასიის საქმეებს, უფლება ჰქონდა ეფიქრნა, რომ ეპისკოპოსის ახსნა-განმარტება უფრო მშვიდობიან კილოსი იქნებოდა.. მაგრამ უფრო სამწუხარო, შემაძრწუნებელ შთაბეჭდილებას ახდენს ეპ. დიმიტრის პასუხი არსებითად როგორც შინაარსით, ისე იმითაც, თუ რა პირობებში ითქვა ეს პასუხი. ერთი უძველესი ქრისტიანო ეკლესიათაგანი სრულ ზნეობრივ უღონობამდეა მოყვანილი; იგი უმწეოდ გდია გზაზე, ხანგრძლივ უპატრონობისაგან იარა გაუჩნდა და იღლება: დაიარებული, გაძარცვული და დაგლეჯილია. ღვიძლი შვილები უცხონი გამხდარან მასთვის—აღიზარდნენ ისე, რომ არა გაუგონიათ-რა მასზე და მზად არიან ფეხებით გათელონ, ცეცხლს მისცენ და ჰკლიტონ მწყემსები, რომელნიც სულიერად საძულველნი გამხდარან მათთვის. მხოლოდ სუსტი კვნესაა, რომ მოწმობს სიცოცხლეს, რომელიც იღუპება. ქართულ ეკლესიას დაჰმართეს ის, რაც უქნია მისთვის ქრისტიანობის უბოროტესს მტრებს: იეზდიგერდებს, თემურლენგებს და შაჰაბაზებს; ამათ გაამრავლეს ძლევა-მოსილ წამებულთა რიცხვი, აწამეს ხორცი, მაგრამ სული ვერ ჩააქრეს.

არავის არ ახსოვს იგი, არავინ არ ზრუნავს მის ნამდვილ ტკივილებზე. უბრალო ადამიანობის გრძნობის ზედ გავლენით მოგვაგონა ნ. დურნოვომ დავიწყებული მსხვერპლი და გადმოგვცა ღრმა კვნესა ერთ დროს სახელოვან ავტოკეფალურ ეკლესიისა, რომელიც დღეს პატივ ახდილი და დაცემულია. მაგრამ კაცთმოყვარე მოწოდება დურნოვოსი შეხვდა აღგზნებულ მოწინააღმდეგეს, გატაცებულ მგოსანს საშინელ დაცემისას და ეს გახლავთ ქართულ ეკლესიის ერთი მწყემს-მთავართაგანი. სულიერი მწყემსი ბრალსა სდებს ნ. დურნოვოს, რომ სწორედ ვერ დასთვალა ჭრილობანი: რამდენიმე ათი ჭრილობაა და არა რამდენიმე ასი; აქა-იქ სხეულზე კიდევ მოიპოვება ცოცხალი ადგილებით. სულიერი მამა ბრალსა სდებს დურნოვოს, რომ ჭრილობის სიღრმე სწორედ ვერ გაუზომავსო: მართალია ჭრილობა ღრმა არის, მაგრამ მეორე მხარეს არ გაუტანია, ძვალი კიდევ არ არის შეჭმულიო.

როცა ქართულ ეკლესიის საშინელ მდგომარეობაზე ლაპარაკობენ, ამა თუ იმ იერარქის პირად თვისებას როდი ეხებიან; ეპისკოპოსი დიმიტრი ან ეგზარხები-კი არ არიან აქ საყურადღებონი, არამედ მთელი სისტემა და ამ სისტემის შედეგი. საყურადღებო ის არის, რომ ქართულ საეკლესიო საქმის გულწრფელ მოყვარენიც-კი სასიკეთოს ვერას აკეთებდნენ, რადგან არ იცოდნენ და არც შეეძლოთ, თავის მომზადების გამო, სცოდნოდათ, სად იყვნენ და რა ჰქონდათ გასაკეთებელი ისეთი, რაც შეეფერებოდა ადგილობრივ ეკლესიის არსებით, სულიერ და პრაქტიკულ მოთხოვნილებათ. თვითონ ეპისკოპოსი დიმიტრი იძლევა საუკეთესო ნიმუშს ასეთ უვიცობისას. საილუსტრაციოდ საკმარისია ორი-სამი ადგილი მოვიყვანოთ მის პასუხიდან:

1) ყოვ. სამღვ. დიმიტრი ამაყად ამბობს, „ჩემდამი რწმუნებულ ეპარქიის მეგრელთა ყველა სასოფლო ეკლესიაში ქართულად სწირავენო". ამაში მე არავითარ ღვაწლს არ ვხედავ არც ყოვ. სამ. დიმიტრისას, არც საქართველოს დღევანდელ ან წინანდელ ეგზარხოსებისას, რადგან ღვთის მსახურება სამეგრელოს ყველა ეკკლესიაში სწარმოებს განუწყვეტლივ ქართულ ენაზე მე-VII საუკუნიდან ქრისტეს დაბადების შემდეგ. სამეგრელოში საქართველოს ეკლესიის ათასი წლის ისტორიის გაუქმება ადვილი საქმე არ გახლავთ.

2) „მე თვითონ და ჩემ მიერ არჩეული დეკანოზი ტარასი ივანიცკი ვწირავთ და ვქადაგობთ ქართულ ენაზეო". ყოვლად სამღვ. დიმიტრიმ, როგორც სჩანს, არ იცის, რომ საქართველოს ეკკლესიის მეთაურებად მეცნიერნი იყვნენ, ქართულ ენაზე ნასწავლი ღვთის-მეტყველები, განთქმული მწერლები, რომელთაც ჰაამდიდრეს ქართულ საეკკლესიო მწერლობის საღარო. საქართველოს კარგად ახსოვს სახელები არსენის, ეფრემის, გიორგის, ანტონის და მრავალ სხვა განათლებულ იერარქთა და არხიმანდრიტთა და, რასაკვირველია, არ შეუძლია გულ-მშვიდად უცქიროს ისეთ დანიშნულ მოძღვართ, რომელთაც არ ძალუძსთ სამშობლო სასულიერო მწერლობის განვითარება და არც რამე იციან თავის სამწყსო ეკკლესიის წარსულიდან. საქართველოს კათალიკოსთა და იერარქთა ძვლები შეძრწუნდებიან საფლავში იმის გამო, რომ ისინი, რომელთაც წილად ხვდათ მათი მოადგილეობა, თავს ამ მოადგილეობის ღირსად სთვლიან, რადგან ზოგიერთ მათგანს შეუძლია შემთხვევით ქართულ ენაზედაც სწიროს. იმ ეკკლესიის შვილთა მიმართ განსაკუთრებულ სიყვარულის დასამტკიცებლად, რომელმაც აამაღლა ისინი, ამბობენ ყველა ეგზარხოსები არ უწოდებდნენ „ძაღლურს" საქართველოს ეკკლესიის ენასა, ზოგიერთები ყურადღებითაც ეკიდებოდნენ ქართულ საარქიელო ხოროებსაო... ყოვლად სამღვ. ვერ ხედავს აქ წინააღმდეგობას: პირიქით, სასიქადულოდ მიაჩნია საქართველოს ეკკლესიისათვის, რომელსაც ათასი წლის ისტორია აქვს, ის გარემოება, რომ ამ ეკკლესიის უმაღლესი იერარქები, დამკვიდრებოდნენ რა თავის საპატიო ადგილზე, ხანდახან ყურადღებით ეკიდებოდნენ ქართულ ენას. ქართული ენისა და ეკკლესიის ვითარების ცოდნა სავალდებულოდ არ მიაჩნიათ საქართველოს ეპისკოპოსებისა და განსაკუთრებით მთელი საქართველოს სამღვდელოების მეთაურისათვის.

(დასასრული ხვალ)

---

*) იხ. „რაზსვეტ"-ი № 35.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ შეუერთოთ ჩვენი გვარები იმ 85 ხმას, რომელთაც გამოუცხადეს თავიანთი თანაგრძნობა ვასილ ნესტორის-ძე აღშიბაიას და მუშანი კოწიას-ძე დადიანს ზუგდიდში, თავად-აზნაურთა კრებაზე, უანგარო და ჭეშმარიტ სიტყვების წარმოთქმისათვის და უკმაყოფილება ვლადიმერ კოსტას-ძე აღშიბაიას და თავ. ვარადებულ აფაქიძეს მათ მიერ წარმოთქმულ სიტყვების გამო.

ი. ფოცხვერიშვილი. ილიკო მარუაშვილი, ნოე გაგელაშვილი, ივანე მესხაძე, დავით აბამიძე, ზაქარია ცისკარაშვილი, ბეჟან ავალიანი.

—

ამ წლის იანვარში გაიფიცნენ, როგორც უწყით, ხელოსნები და მუშები ამიერ-კავკასიის რკინისგზის უმთავრეს სახელოსნოებისა და მას უკან ჩვენც, მთავარ მატერიალურ საწყობის მუშებიც, იძულებულნი ვიყავით დაგვენებებია თავი მუშაობისათვის, რომ ჩვენს ამხანაგებთან უსიამოვნება აგვეცილებინა თავიდან. მაგრამ, როცა მუშებმა ისევ დაიწყეს მუშაობა და, გზათა მინისტრის განკარგულებით, გადაწყდა მისცემოდათ გაფიცულ მუშებს ქირა გაფიცვის დროსაც, ცოლ-შვილის პატრონს ¾ და მარტო-ხელს ½ ყოველ-დღიურ ქირისა, ჩვენ, არ ვიცით, რა მიზეზით, არ ჩაგვთვალეს გაფიცულებად და უარი გვითხრეს ქირის მიცემაზე, თუმცა საწყობი იმყოფება მთავარ სახელოსნოების რაიონში და ამ სახელოსნოების მუშებთანაც და ხელოსნებთან ჩვენ ერთს ოჯახს შევადგენთ. 28 თებერვალს „მატერიალი სამსახურის" უფროსმა გამოგვიცხადა, რომ გზათა უფროსის, ინჟენერ ივანოვსკის, განკარგულებით ჩვენ, საწყობის მუშები კი არ უნდა ვმუშაობდეთ, როდესაც სახელოსნოების საყვირის ხმას გავიგონებთ, არამედ, როდესაც საწყობის მმართველობის განკარგულებით დარეკავს ზარი. ბევრი ვეხვეწეთ გზათა უფროსს, რომ ჩვენც ხსენებულ მუშებთან ერთ დროს და ერთ რიგზე გვემუშავნა, მით უფრო, რომ ამით თუ არაფერი გაკეთდებოდა, არა წახდებოდა-რა, მაგრამ ჩვენი თხოვნა არ იქმნა შეწყნარებული. სანამ გზათა უფროსთან მოლაპარაკება გვქონდა, ჩვენდა უნებურად ვეღარ დავიწყეთ მუშაობა; ამიტომ გზათა უფროსმა ზოგი რამ დაგვითმო, თუმცა მაინც კიდევ არ ვმუშაობთ სახელოსნოების მუშებთან ერთ დროს და ისევ ისე ძლიერ შეწუხებულნი ვართ. და რადგან ყველა მუშები და ხელოსნები უმთავრეს სახელოსნოებისა, დეპოსი, აგრეთვე სხვა მუშები დაკმაყოფილებულ იქმნენ, ჩვენ კი არ დაგვაკმაყოფილეს და, პირიქით, კიდევაც დაგვემუქრნენ, ჩვენ, წარმომადგენელნი 69 ჩვენ ამხანაგისა, გთხოვთ, ბ-ნო რედაქტორო, საჯაროდ გამოაქვეყნოთ ეს ამბავი. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ თვითეულ ჩვენგანს ეძლევა თვეში 13 მანეთი და რა-კი 12 დღის ქირა გამოგვერიცხა, დიდ გაჭირვებაში ჩავვარდით.

იპოლიტე გაჩეჩილაძე,
რომან კირიაჩენკო.

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

12 აპრილი

სიტიაზა. სადგურ ჩანტუფუსთან, რომელიც მტერს აქვს გამაგრებული, თითქმის მუდამ დღე შეტაკება უხდება ჩვენს წინა რაზმებს. იაპონელები არ უშვებენ ჩვენს რაზმებს გადავიდნენ რკინის გზაზე. 31 მარტიდან 1 აპრილამდე, მცირე შეტაკებანი მოხდა მარცხენა ფრთაზე სოფ. ხეილიმუსა, ციოპუსა და პაცზიაცის აღმოსავლეთით. თოვლ-ჭყაპია გზები ფუჭდება.

ნიუ-იორკი, 11 აპრილი. ტანხოიდან აუწყებენ „ივენიგსენ"-ს, რომ კვირას, დილის ათს საათზე, ამ გაზეთის კორესპონდენტს, რომელიც საიგონიდან მოდენილა ნავით კამრანის ბუხტისაკენ, შეხვედრია, კამრანიდან 30 მილის მანძილზე, სამხრეთით, დიდი გემები, რომელნიც ჩრდილოეთისკენ მიდიოდნენ. კორესპონდენტს გაურჩევია ჯავშნოსანი და კრეისერი. ჰფიქრობენ, ეს ნებოგატოვის ესკადრააო.

შანხაი, 11 აპრილი (მორნინგ პოსტი). გუშინ, ასე შუადღეზე, მერგუის არხიპელაგის სედლენის კუნძულებთან, სამხრეთ ბირმის დასავლეთით, ჩაიარა სამხრეთისაკენ იაპონიის საგოსპიტლო გემმა.

ტოკიო, 11 აპრილი (დეილი ტელეგრაფი). გუშინ ბატავიაში მოვიდა რუსეთის საგოსპიტლო გემი, რომელიც, როგორც ეტყობა, მესამე ესკადრას ეკუთვნის. ჰფიქრობენ, რუსები საგოსპიტლო გემებს დაზვერისათვის იყენებენო. რუსებმა გამართეს რკინის გზა ჩანჩუნი-გირინზე. ამ პუნქტებში გამართულია მაღაზიები და საწყობები. ხდება ხოლმე მცირედი შეტაკება კავალერიასთან. იუწყებიან, რუსის რაზმი, 8000 კაცისაგან შემდგარი, მდ. ტიუმენზე გადავიდა და ჩრდილოეთ კორეაში მივიდაო.

ვერხნეუდინსკი, 11 აპრილი. დაიწყო მუშაობა ბულგარელ ქალთა საზოგადოების საავადმყოფომ, რომელიც წინად გუნჩულინში მოქმედებდა.

შანხაი, 12 აპრილი. (დეილი მეილი). იმ გემთა რიცხვი, რომელნიც თვალ-ყურს ადევნებენ ნავთსადგურში მყოფ რუსის გემებს, გადიდებულ იქნა.

გონკონგი, 12 აპრილი. (დეილი-მეილი). ჩინეთის წყაროები ირწმუნებიან, რომ ხაინანში რუსის კრეისერები და სანახშირე გემებიაო. აქედან გავიდნენ ბრიტანიის ჯავშნოსნები „გლორი" და „ცენტურიონი", კრეისერი „ხოგ"-ი და „ბონავანტიურ"-ი, მაგრამ არ კი იციან საით წავიდნენ.

საიგონი, 11 აპრილი. (ჰავასი). კოხინხინის ნაპირებიდან 15 მილის მანძილზე დაინახეს რუსის ესკადრა, რომელიც ჩრდილოეთისაკენ მიდიოდა.

სოსნოვიცი, 11 აპრილი. დაიხურა შლეზინგერის სამანე ქარხანა, ვინაიდან, ვაჭრობის შეჩერების გამო, წარმოებას ზარალი მიაქვს.

რომი, 11 აპრილი (სტეფანი). შეიკრიბნენ რუსეთის, საფრანგეთის და დიდ-ბრიტანიის ელჩები, როგორც კრიტოსის მფარველ სახელმწიფოთა წარმომადგენელნი და თათბირი ჰქონდათ შინაგან საქმეთა მინისტრთან. თათბირის შედეგი საიდუმლოებითაა მოცული.

ბათუმი, 12 აპრილი. ავაზაკთა ბრბომ ჯერ გადასჭრა ტელეფონის მავთულები და მერმე დაეცა ქალაქის გამგეობის კასას; ჩაჰკეტა ოთახში იქ მყოფი 50 მუშა, მაგრამ, რადგანაც დარწმუნდა, რომ შეუძლებელი იყო ფულების მოპარვა, პატრულის მოსვლამდე მიიმალა.

ზადონსკი, 12 აპრილი. საბჭომ დაადგინა, იშუამდგომლოს, რათა ქალაქს მოაშორონ პოლიციის შესანახი ხარჯი. მიეცეს მას ნება იყოლიოს საქალაქო მილიცია და ცეცხლის მქრობელი რაზმი პოლიციის ხელიდან ქალაქისას გადავიდეს.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან".

12 აპრილი.

პეტერბურგი. 11 აპრილს შორეულ-აღმოსავლეთიდან არ მოსულა ოფიციალური ცნობები.

გუნჩულინი. მთავარ-სარდლის ბრძანებით ფოსტის ცენტრალურ კანტორაში, კუანჩენძში, არსდება ცნობების მისაღები ბიურო, საცა შეიძლება დაწვრილებით გაიგოს კაცმა ყველა იმ პირების ადრესები, ვინც ომის ასპარეზზე არიან; ამ გზით აღარ დაიკარგებიან წერილები, რომელნიც, ადრესების არ ცოდნის გამო, იკარგებოდნენ წინათ.

ტოკიო, 11 აპრილი. გონკონგში დაბეჯითებით ამბობენ, რუსის მესამე ესკადრა 15 აპრილს შეუერთდება ბალტიისასო. რუსის გემები დიდ ხანს დარჩებიან ხაინანში. ხაინანის გუბერნატორი ტელეგრაფით აუწყებს ჩინეთის მთავრობას, ბალტიის ესკადრა ნახშირით იტვირთება ხაინანთანო. შიშობენ, მთავრობა დროზე ვერ შეიძლებს მიიღოს ზომები ნეიტრალიტეტის დარღვევის თავზე ასაშორებლადო.

შანხაი. იაპონიის წყალში მოსიარულე გოსპიტალი სადღუის კუნძულებისაკენ გაემართა, მდ. იანცზეს შესართავთან, და იქიდან სამხრეთით წავა.

შანხაი. დაოტაიმ მიუმატა იმ გემების რიცხვს, რომელნიც რუსის იარაღ აყრილ კრეისერებს იცავენ და საგანგებო ბრძანება მისცა ჩინეთის ოთხ კრეისერს.

მოსკოვი, 11 აპრილი. საღამოს, ნაფიც ვექილთა კრებაზე, კოლაიევის დამცველმა მანდელშტამმა რეფერატი წაიკითხა კოლაიევის პროცესის შესახებ და თავის შთაბეჭდილებანი გაუზიარა დამსწრეთ.

რიაზანი. საკონდიტროებისა და საბულკეების მოსამსახურეებმა აღებს თავიანთი მოთხოვნანი წარუდგინეს, რომელნიც ჯამაგირის გადიდებას, სამუშაო დროს შემცირებას და ცხოვრების დანარჩენ პირობათა გაუმჯობესებას შეეხებიან. ასამდე ხელოსანი დაითხოვეს.

მოსკოვი. საბჭოში ძლიერდება ინტელიგენციის მოწინააღმდეგე პარტია, რომელიც ქალაქის ყველა საქმეს, როგორც მას უნდა, ისე ათავებს. ოპოზიცია ცდილობს, რომ ხმოსნებს აღარ ეძლეოდეთ ჯამაგირიანი ადგილი ქალაქის სამსახურში.

ბომბეი. გაზეთების სიტყვით, ცენტრალურ აზიაში, ამ ჟამად, რუსებს 200 ათასი ჯარის კაცი ჰყავს. რუსების ჯარებს, თუ კი მოინდომებენ, შეუძლიანთ ერთ კვირაში დაიჭირონ ჰერატი. რუსებისაგან ორენბურგის რკინის გზის გაყვანამ მთლად შესცვალა საქმის ვითარება, ინგლისს ძალიან თვალყურის დევნება სჭირია ეხლა ინდოეთზე.

პეტერბურგის ბირჟა 8 აპრილს 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. ტ.	94,30
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	37,50
ლონდონისაზე ჩეკები	94,90
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე	37,72½
პირველი დისკონტი	5½ 83⅞ —
4% სახელმწიფო რენტა	[illegible]
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	—
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	375
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	290
5% გირ. მომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	267
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
5½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	212

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ბ. ჯაბადარი**

განცხადებანი

№ 4211
ო-დე-ლი
(EAU DE LYS)
თეთრ ვარდის, ფერ და ყვითელ ფერისა
ყველას მიერ ცნობილი, როგორც საუკეთესო საპირფარეშო საშუალება პირის დასაბანად, ახალგაზდობის შესანარჩუნებლად, ჰორფლის მოსაშორებლად და სახის გასაწმენდად.
მოთეთრო
რძის
საპონი
Sauon au lait de lys
მეტად ნაზი
ვურჩევთ ყველას იხმაროს კანის გასათეთრებლად და გასანაზებლად
ერთად ერთი მექარხნე
ფერდ. მიულგანსი
კელნი რეინზე და რიგა.
მისის უდიდებულესობის კარის ვაჭარი.

საყურადღებო განცხადება
თუმცა პასკებს ბევრნი აცხობენ, მაგრამ ჯერ ბევრს არა აქვს შესწავლილი ნამდვილი ხელოვნება პასკების კარგად გამოცხობისა, რის გამოც მყიდველი ხშირად სტყუვდება; ამისათვის მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ
ყოფილი არ. ივ. ალიხანოვის
საკანდიტეროში
(ვარანცოვის ძეგლთან)
სააღდგომოდ მზადდება დიდმალი პასკები და კულიჩები.
ჩემს სახელოსნოში პასკები საუკეთესო მასალისაგან კეთდება და ყოველთვის საუკეთესო ღემოვნება აქვს, რაშიაც პატივცემული საზოგადოება ძლიერ ადვილად დარწმუნდება. გთხოვთ არ დაუჯეროთ არავის: მარტო ჩემს საკანდიტეროში იშოვება ჩემი პასკები და არსად გასაყიდად არ ვაძლევ.
Дрожжевой заводъ К. ШУРЪ.
პატივისცემით **სტ. ივ. ალიხანოვი.**
ტელეფონი № 276. (2—1)

კბილებს
[illegible] ვაკეთებ ვასუფთავებ, ვსვამ [illegible] კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. [illegible] 20. მიხეილის ქ., № 108. [illegible] პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად.
(30—172—1)

საუკეთესოდ [illegible]
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

ტფილისის დურგალთა ამხანაგობის
ავეჯეულობათა სავაჭროში
(მიხეილის ქუჩა № 97)
დღესასწაულების მოახლოებისა გამო დანიშნულია **იაფი ვაჭრობა** ყოველ გვარ ავეჯეულობაზე გარდაწყვეტილი ფასია დადებული
მიიღება შემოკვეთილებაც როგორც ავეჯეულობათა, აგრეთვე სამშენებლო საქმეებისაც **ამხანაგობის ქარხანაში** (ელისაბედის ქუჩა სახლი № 25). მაღაზიის გამგე ი. რუსიშვილი, ქარხნის გამგე გ. ბერძენიშვილი გამგეობის თავმჯდომარე გრ. თოიძე. (8—5)

პირველი საწყობი
შეშისა
ა. ი. ქურციკალიასი
ანდრეევის ქუჩა, დამოკნის პირდაპირ. საკუთარის ტყიდან მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ ღირსებისა, რცხილისა, წიფლისა, მუხისა, რთხმელისა და სხვა მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პავოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება საჟენობითაც და ფუთობითაც. მყიდველს ნება აქვს შეშის ჩაწყობა თავის თვალ წინ დაადგმევინოს, რადგანაც მსყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადგმულ საჟენებიდან. მეორე განყოფილება იმყოფება ვერის ხიდის ყურთან.
(90—33)
გამგე **ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.**

„კურდღელაური"
კახური ღვინოების სარდაფი, ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ დღესასწაულებისათვის მიღებული სხვა-და-სხვა ჯურის ღვინოები. მსურველთ დაკლებულ ფასებში დაეთმობათ: ბოთლი 20 კაპ. ღირებული 17 კაპეიკად, 25 კაპ.—22 კაპ., და ასე დაკლებით. ვედრო 1 მ. 50 კაპ., თუნგი 60 კაპ. მსურველთ უნდა მიჰმართონ ჩუღურეთში: რიყის ქუჩაზე გაბაევის სახლი № 6.
პატივისცემით **ა. ი. ხახუტოვი** ტფილისში.
(3—174—1)

„პატარა-კახი"
სარდაფი კახურ ღვინოებისა, **დავით როსტომაშვილისა**, მოთავსებულია მე-10 ნაწილში, ავჭალის ქუჩაზე, მალაკნების მოედნის პირდაპირ, ზარნიკოვის მამულში № 115. ღვინოებია სხვა-და-სხვა სოფლების: ჩაიაურის, მანავის, თიანეთის და ხაშმის. ამ სააღდგომოთ ვედროა 1 მ. 50 კაპ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80 კ., 2 მანეთ: ვიდრე 3 მანეთამდის. თუნგი 50, 60, 70, 80 კ. ვიდრე 1 მანეთამდის. ბოთლი 10, 12, 14, 15, 16, 20, 25, 30 ვიდრე 40 კაპეიკამდე. (3—173—1)

Доз. цен. Тифлисъ, 12 Апрѣля 1905 г.

Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ბ.